

რვაენი

ფრთვა

NOTRE DRAPEAU"

832

1959

დაარსებულია ნოე შოკლაძის მიერ.

N° 31

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ირაკლი წერეთელი.

მ. ანდრეშვილი—ირაკლი წერეთელი.

ნულოდამწვარი მეგობარი—სანდრო კორძაია.

რ. ანსენიმე—ზოგიერთი ასპექტი საერთაშ. მდგომარეობისა.

პ. ხ.—საქართველო ოკუპაციის ქვეშ.

ერთა გამანთავისუფლებელი ლიგის კონფერენცია.

X.—სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი.

საით მიდის გაბაშვილი.

ქართველობა უცხოეთში.

გრამიტონ ქელიძე.

პარტიული ცხოვრება.

ან. ეორუჟოლიანი—განცხადება. და სხვ.

პარტიო.

სექტემბერი.

Paris.

1959



ირაკლი წერეთელი  
(1881—1959)

## ირაკლი წერეთელი.

(1881—1959)

21 მაისს საღამოს სამუდამოთ დახუჯა თვალები დიდმა ადამიანმა, დიდმა ქართველმა, ირაკლი წერეთელმა.

ვიცოდით, რომ იგი უკურნებელი სენით იყო შეპყრობილი: ნაწლევების კიბოთი. ვიცოდით, რომ ოთხი წლის წინეთ (1954) გაკეთებულმა ოპერაციამ მხოლოდ დროებით შეანელა ამ დაუძლეველი სენის ზედმოქმედება. ვიცოდით, რომ იგი კარგა ხანია ბინიდან გამოუსვლელად სწერდა თავის კლასიკურ მოგონებებს ორი დიდი ამერიკული უნივერსიტეტის — ჰაუარდისა და კოლუმბიის თხოვნით. ვიცოდით, რომ ის თავის შრომის დათავების სურვილით გატაცებული, არ გრძობდა მწვავე, საბედისწერო ტკივილებს და უკანასკნელ მომენტამდე გათავისუფლებით მუშაობდა მის დასამთავრებლათ.

მით უმეტეს მოულოდნელი იყო ჩვენთვის 22 მაისს მიღებული დეკემა: ირაკლი გარდაიცვალაო. მთელი თავისი არსებით რევოლიუციონერი, თავდადებული მებრძოლი ადამიანისა და ერის უფლებებისათვის, შეურყეველი დამცველი და ქომაგი დაჩაგრული ერისა და დაჩაგრული კლასის გამოგვეცალა ხელიდან! დავკარგეთ ადამიანი, რომელსაც დიდი და დაუფასებელი ამაგი მიუძღვის დიადი რევოლიუციური მოძრაობისა და სპეციალურად ქართველი ერის წინაშე.

ერთ თავის მოგონებაში, რომელიც პირველ მსოფლიო ომის დროს გამოქვეყნდა გაზეთ „ჩენი აზრი“-ს ფურცლებზე, ირაკლი წერეთელი სწერდა, რომ საქართველოს ეროვნულ აღორძინების გზების და საშვალეებათა ძიებამ მიიყვანა იგი სოციალდემოკრატიულ პარტიის რიგებში და ჩაუნერგა სიყვარული და რწმენა მუშათა კლასის ისტორიულ როლისა. მან დაინახა, რომ ჩვენი ერის სოციალ-დემოკრატიულ და საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში მხოლოდ მშრომელთა კლასს შეეძლო ამ მძიმე ამოცანის გადაჭრა: ქართველი ერის კულტურული და პოლიტიკური რაობის შენახვა, დაჩაგრულისა და დაპყრობილის — თავის უფლებებში აღდგენა.

მან დაინახა, რომ მხოლოდ მუშათა კლასის გაცნობიერებულ და რევოლიუციურ ძალას შეეძლო იმ ბუმბერაზ რეჟიმის დაძლევა, რომელიც მაჯლაღუნსავით აწვა თავს ქართველს და მის ბედში მყოფ ერებს, და ისეთი ახალი სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობის წარმოშობა, რომელიც ერის განთავისუფლების საკითხს მწარე განყენებულ ოცნების სამეფოდან რეალურ სინამდვილეში გადმოიტანდა, და განხორციელების გზებს გაუხსნიდა. ის ხომ ცნობილი ქართველი ეროვნული მოღვაწის, ბელეტრისტისა და პუბლიცისტის — გიორ-

რგი წერეთლის შვილი იყო და დედით კი ნიკო ნიკოლაძის ოჯახთან დაკავშირებული, მაშასადამე სიყრმიდანვე ეროვნულ საკითხზე აღზრდილი და ეროვნული პრობლემით მწვავეთ დაინტერესებული.

ირაკლი წერეთელს ღრმად და ყოველმხრივით ქონდა შესწავლილი და განხილული ეს არსებითი საკითხი ჩვენი ერის ცხოვრებისა, შესწავლილი ფართოდ, ყველა მის ასპექტში. ყველა მისი სირთულით და საერთაშორისო სიძნელეებით.

მკვიდრი და მყარი საფუძველი ჩვენი ერის დამოუკიდებლობისა მისთვის წარმოუდგენელი იყო გარეშე დემოკრატიის წარმატებისა და გამარჯვებისა, როგორც შინ, ისე გარეთ. ამიტომ ირაკლი წერეთელი ისე ხელაღებით, მთელი თავის ახალგაზრდული გატაცებით გადაეშვა საერთო, განმათავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლაში—ერისა და ადამიანის უფლებების აღსადგენათ. ამიტომ იგი შეუპოვებელი მტერი იყო ყოველგვარი დიქტატორული რეჟიმისა და თავდადებული მებრძოლი დემოკრატიისათვის. ამიტომ იყო სასტიკი და მუდამ აღესილი ბოლშევიკური მოძღვრებისა, მეთოდისა და რეჟიმის წინააღმდეგ. მასში მან პირველ დღიდანვე დაინახა რევოლუციურ ქურქში გახვეული ძალა, რეაქციის კარების გამღები. გადაიკითხეთ მისი შეფასება ბოლშევიზმისა, სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების სხდომაზე წარმოთქმული 1918 წლის 18 იანვარს, და თქვენ დაინახავთ მისი გონების ღრმა ანალიზის უნარს და მის პოლიტიკურ გამჭრიახობას. აი ერთი ნაწყვეტი ამ სიტყვიდან:

«მოქალაქენო, გრგვინავდა მისი ხმა თავრიდის სასახლეში, მე მგონია, რომ მას, ვინც იღებს თავის თავზე სოციალიზმის საბოლოო იდეალების განხორციელებას, და ფიქრობს, რომ შესწევს ძალა მისი განხორციელებისათვის, არ უნდა ეშინოდეს იმ ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვების, რომელიც ხალხმა მოიპოვა არა მარტო ერთ პარტიის წარმომადგენელთათვის. დამფუძნებელი კრება, რომელიც არ ჩველია ყველაზე სრულყოფილი დემოკრატიული საარჩევნო უფლების საფუძველზე, და ამიტომ ყველაზე უფრო სწორად გამოხატავს ხალხის ნებისყოფას, დღეს გაიხსნა არა ისეთ პირობებში, როგორსაც მოითხოვდა მუშათა კლასი. დამფუძნებელი კრება იხსნება მაშინ, როცა მთელი ქვეყანა სამოქალაქო ომის ხანძარშია გახვეული, როცა გაუქმებულია ყველა დემოკრატიული თავისუფლებები, არ არსებობს არც პიროვნების, არც ბნის ხელ შეუხებლობა, არც თავისუფლება სიტყვის, კრების, კავშირების, არც გაფიცვის უფლება; როცა ციხეები ავსებულია გამობრძმედილი რევოლუციონერებით და სოციალისტებით, თვით დამფუძნებელი კრების წევრებითაც კი; როცა მართლმსაჯულება ჩაკლულია და ყველაზე უსამინელესი ფორმები თვითნებობისა და უუფლებობისა, თითქოს სამუდამოთ დასამარებელი თებერვლის სახელ ოვა-



14207

ნი რევოლუციის მიერ, ხელახლა პოულობენ სამოქალაქო უფლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში...»

ასე შეუპოვრათ შეეტაკა ირაკლი წერეთელი ახლად გაბატონებულ ბოლშევიკურ ტირანიას, როცა ხიშტები და თოფის ლულები იყო მისკენ მიშვერილი. თვით ლენინიც შეაძფოთა მისმა მხურვალე, მკვეთრმა სიტყვამ და მან ვერ გაბედა თავის იანიჩრები მიესია ამ გაბედული რევოლუციონერისთვის.

დიახ, ირაკლი იყო არა მარტო დიდი რევოლუციონერი, ის იყო იმავე დროს დიდი საერთაშორისო მაშტაბის პოლიტიკური მოღვაწე, ღრმა სახელმწიფოებრივ ინტუიციით დაჯიუფებული და სახელგანთქმული საქართველოში, მთელს რუსეთში და ევროპაშიც კი. მაგრამ რათ უნდა ქება იმას, ვისი საქმენი თვით ლალადებენ უძლიერესად ყოველი სიტყვისა.

ჩამოვთვალოთ მოკლეთ მისი მოღვაწეობის ზოგიერთი ფაქტები: ახალგაზრდა ირაკლი მოსკოვის სტუდენტთა ახლად აღორძინებულ რევოლუციურ მოძრაობის ერთი ხელმძღვანელთაგანია (1901 წელს) და მეფის მთავრობა მას ციმბირით უმასპინძლდება. ამნისტიით განთავისუფლებული, იქიდან ბრუნდება საქართველოში და აქტიურათ ებმება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი თბილისის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტის თავმჯდომარეა 1903 წლის დასაწყისიდან და ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაციათა წარმომადგენლების პირველი კონფერენციის მონაწილე. იგი არჩეულ იქნა კონფერენციისაგან ჟურნალ «კვალი»-ს რედაქტორათ და განაგრძობდა ამ მოვალეობის ასრულებას, სანამ ხელმეორეთ არ იქნა დატუსაღებული და საზღვარგარეთ განდევნილი ამ ჟურნალის დახურვასთან დაკავშირებით.

საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ირაკლი 1906 წელს, არჩეულ იქნა მეორე სახელმწიფო დუმის დეპუტატათ, სადაც თავი ისახელა როგორც უბადლო ხელმძღვანელმა და თავმჯდომარემ თითქმის სამოც წევრიანი სოც.-დემ. ფრაქციისა, და პირველი ადგილთაგანი დაიპირა საპარლამენტო ასპარეზზე. იგი მოგვევლინა, როგორც ბრწყინვალე ორატორი, შეუდარებელი ლოლიკით, და თავისებური განუმეორებელი მკვერმეტყველებით. 25 წლის ახალგაზრდა, ის ერთად ერთი შეეტაკა მთავრობის თავმჯდომარეს—სტოლინის, რომლის დეკლარაციაზე ყველა სხვა პარტიებმა სიჩუმე არჩიეს, და ამ დეულისა, და გაჯიბრებაში ხალხსა და თვითმპყრობელობას შორის ის იყო ერთად ერთი «პორტპაროლი» ხალხისა. ეს ცხარე ბრძოლა ახალგაზრდა მგზნებარე ორატორის სასარგებლოთ დათავდა. იმ დღიდან ის გახდა უკვე დიდათ მნიშვნელოვანი ფიგურა მთელი საზოგადოებრივი მოძრაობისა რუსეთში, ერთსულავენათ შეფასებული, როგორც დიდი პოლიტიკური მებრძოლი, ვეფხვივით შემმართავი და დაუცხრომელი.

მეორე სახელმწიფო დუმის გარეკვისა და სოც.-დემოკრატიული ფრაქციის დატუსაღების და გასამართლების შედეგათ მას 4 წლის საკატორლო ციხე მიესაჯა, ციმბირში სამუდამო გადასახლების დამატებით, საიდანაც მხოლოდ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციამ გაანთავისუფლა.

პეტერბურგში დაბრუნებული ირაკლი წერეთელი, ჩვენს ძვირფას კარლო ჩხეიძესთან ერთად, მეთაურობს მუშათა და ჯარისკაცთა პირველ საბჭოს რევოლიუციურ მუშაობას. შემდეგ კერენსკის მთავრობაში მას ეკავა ჯერ ფოსტა-ტელეგრაფის, შემდეგ კი შინაგან მინისტრის პორტფელი.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კარლო და ირაკლი, ორივენი ბრუნდებიან საქართველოში და აქ ქართულ მიწაზე იცავენ იმავე დიად პრინციპებს თავისუფლებისა და ადამიანობისა, რომელთაც ემსახურებოდა თებერვლის რევოლიუცია. სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაში, სადაც ირაკლი საქართველოდან იყო გაგზავნილი, მან ერთმა შესძლო თავაშვებულ მატროსებისა და გაბოლშევიკებულ ჯარისკაცების გააფთრებული ობსტრუქციის გატეხა და თავის მგზნებარე სიტყვის შედარებით დაწყნარებულ პირობებში დათავება. მაგრამ დამფუძნებელი კრება გარეკილ იქნა.

დადგა საკითხი ამ ფართო ასპარეზიდან საქართველოს ფარგლებში ჩადგომისა. ირაკლი ერთი წუთითაც არ შედრეკილა. იგი ჩადგა ჩვენი ერის განთავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში და აქაც მისი ჩვეული ღრმა შორსმხედრეტელობით და საერთაშორისო მასშტაბით უდგება ქართველი ერის სასიცოცხლო საკითხებს. იგი იყო თავმჯდომარე და ხელმძღვანელი სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ფრაქციისა ჯერ ამიერ-კავკასიის სეიმში, შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოში და დამფუძნებელ კრებაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მან მისცა უძლიერესი, მკერმეტყველური დასაბუთება თავის შესანიშნავ სიტყვაში, რომელიც 1918 წლის 26 მაისს დილით წარმოსთქვა სეიმის უკანასკნელ სხდომაზე. ეს სიტყვა უცხოეთში წამოსვლის შემდეგ ფრანგულათ იქნა გამოცემული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის, როგორც საქართველოს პოზიციის და მისი დამოუკიდებლობის საუკეთესო დამაჩანსათებელი და დამსაბუთებელი. ამრიგათ, ირაკლი, ნოე ჟორდანიასთან ერთად იყო მიმრჩეველი საქართველოს დამოუკიდებელი თვითარსებობისა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნის შემდეგ (1919 წელს) ირაკლი წერეთელი, როგორც უკვე ცნობილი დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეთა წრეებისათვის, ჩვენს დაუვიწყარ კარლოსთან ერთად იქნა გამოგზავნილი უცხოეთში ვერსალის კონფერენციისა და დასავლეთის სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელ საქართველოსთვის საერთაშორისო ცნობის მოსაპოვებლად. ირაკლის ამავე დროს დავეალა

მოეწყო საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის, როგორც დამოუკიდებელი წევრის, მიღება მუშათა ინტერნაციონალში, ყოფილიყო საქართველოს წარმომადგენელი ამ საერთაშორისო მუშათა ორგანიზაციაში. ორივე მოვალეობა მან ბრწყინვალედ შეასრულა. საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტია, ახლად გამოყოფილი, ერთხმად და უდავოთ იქნა მიღებული ინტერნაციონალში.

მეორე მხრივ საქართველოს ცნობისთვის პოლიტიკურ მუშაობის პროცესში ირაკლიმ ინახულა ინგლისის საგარეო მინისტრი კერზონი, სოციალისტ-მინისტრის ჰენდერსონის შუამავლობით, და მიიღო გულახდილი და სწორი მითითება არსებულ საერთაშორისო პირობებში ქართული პოლიტიკური გეზისათვის, რომელიც საქართველოს მდგომარეობას გაამაგრებდა.

კერზონი, ირაკლის გადმოცემით, მოგვევლინა, როგორც გულწრფელი მეგობარი საქართველოს დამოუკიდებლობისა. მისი მეგობრული რჩევა შეეხებოდა, პირველ ყოვლისა, ჩვენს მეზობლებთან და, განსაკუთრებით, ჩრდილოეთით მოსახლდრე დიდ ერთან ურთიერთობას. ცნობილია, იმ დროს დენიკინის ჯარი კავკასიას აწევებოდა და საფრთხეს გვიმზადებდა. დენიკინი კი სარგებლობდა ფართე დახმარებით ინგლისისა, რომლის საგარეო პოლიტიკის მეთაური იყო კერზონი. ქართული ინტერესი მოითხოვდა, ცხადია, თავის შეკავებას ყოველგვარ ვალდებულებებსაგან რუსულ მებრძოლ ძალებისადმი, ე. ი. ნეიტრალობას, ირაკლის მოლაპარაკების დროს კერზონთან. უკანასკნელი ადვილათ ჩაწვდა ჩვენი ერის სულისკვეთებას და მისწრაფებას—სრული და ჩუმი გამხნეება მისცა ჩვენს მთავრობას მის მიერ აღებულ პოზიციაში,—ამავე ხაზის მიხედვით დადებული იქნა 7 მაისის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან. ამას დაერთო ირაკლის გავლენით ჩვენი დამოუკიდებლობისადმი ინტერნაციონალის მხარის დაქვერვა. ასე, ამ რიგათ, მეთოდითურათ იყო მომზადებული მოკავშირეთა უმადლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა. ერთი სულის ჩამდგმელთანაგი მთელი ამ მუშაობისა იყო ირაკლი წერეთელი.

ირაკლის ინიციატივით ეწვია ჩვენს პატარა ქვეყანას ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის სოციალისტურ პარტიათა დელეგაცია და კარლ კაუცკი, რომელთაც შემდეგ იმდენი პროპაგანდა გასწიეს საქართველოს დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მთელ მსოფლიოში. საბჭოებისაგან საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ირაკლის მოღვაწეობა ქართველი ერის უზენაესი უფლებებისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის. ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა. მას განსაკუთრებული პასუხსაგები მოვალეობა ქონდა მიჩენილი. საქმე იმაშია, რომ ირაკლი, როგორც ღრმა პრინციპიალური, და დიდებულებოვანი ადამიანი, უაღრესათ წრფელი გულის და გამპრიახი

გონების მქონე, ყველა პოლიტიკურ წრეში, სადაცკი მოუხდა მისვლა, ახდენდა ძლიერ, წარუშლელ შთაბეჭდილებას, იპოვებდა დიდ სიმპატიას და პატივისცემას. მთელი ეს გავლენა, ძალა და ნიჭი მან საქართველოს უფლებების დაცვას მოახმარა იგი იგზავნებოდა იქ, სადაც ოფიციალური გზით მიდგომა მეტათ გაძნელებული ან თითქმის შეუძლებელი იყო. იქ მას უნდა პარტიის ხაზით, თავის პოლიტიკური მეგობრების დახმარებით და ჩარევით უნდა დაეძლია ყველა და ყოველი დაბრკოლება და მოემზადებია ნიადაგი საქართველოს უფლებათა სასარგებლოდ. ერთი ასეთი აქტი, ინგლისში, კერზონთან, ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. მთელ მის დაულალავ მოღვაწეობის ყველა მხრისა და მუშაობის თავისებური მეთოდის განხილვას ვერ შეუდგებით. ძალაუნებურად მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტების მშრალად და მოკლეთ აღნუსხვით უნდა დავკმაყოფილდეთ:

მუშათა ინტერნაციონალმა რომ საქართველო ჩვენი ერის დიდი მეგობრის კარლ კაუცკის წინადადებით ერთს უღოვანად გამოაცხადა დაჩაგრულ ერთა სიმბოლოდ, როგორც წინეთ პოლონეთი ითვლებოდა პირველ ინტერნაციონალში, ეს ირაკლის ენერგიული მუშაობის და ნიადაგის მომზადების შედეგია.

ინგლისში რომ მაკდონალდის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის ცნობის დროს რეზერვი დაიტოვა საქართველოს შესახებ, ე. ი. არ იცნო საბჭოთა მთავრობის უფლება საქართველოზე, ეს ირაკლი წერეთელისაგან იყო მიღწეული.

საფრანგეთში ქართული საელჩოს შენარჩუნებისათვის მუშაობაში და საქართველოს შესახებ საბჭოთა მთავრობის ცნობის დროს ინგლისის მსგავსად რეზერვის გაკეთებაში ირაკლი წერეთელს დიდი მონაწილეობა აქვს მიღებული.

ერთა ლიგაში რომ დებრუკერი, ბელგიელი სოციალისტი, თავგამოდებით იცავდა საქართველოს უფლებებს, მოიხოვდა ამ მხარეში მშვიდობიანობის დაცვას სამართლიანობის აღდგენით და შესაფერ რეზოლიუციებს აღებინებდა. ყველა ამ აქტების მომზადებასა და გამოსვლების მოწყობაში ირაკლი წერეთელს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა მიუძღვის. ყველას ვერ ჩამოვთვლით.

უკანასკნელი ეტაპი მისი ცხოვრებისა განსვენებულმა გაატარა ღრმა დუმილით მოცულ მწარე ფიქრებში! ამ ფიქრთა საგანი იყო: ადამიანი და მშობელი ერი მისი ბედით და უბედობით; განვლილი რევოლიუცია და მისი მომყოლი ბოლშევიკური კონტრ-რევოლიუცია, რომლის იმპერიალისტური ჩეკსპანსიის სუსხი ასე მწვავეთ განიცადა, სხვა ერებთან ერთად, ჩვენმა ერმა...

თავის მოგონებებში ირაკლი უკეთებდა ღრმა ანალიზს განვლილ და განცდილ ქარიშხლის ხანას, — მაგრამ ესეც ბოლომდის არ დასცალდა.

აქვე ვიგონებთ: როცა, ამერიკაში გამგზავრების წინ, ხელში ჩაუვარდა მემუარები სამოციან წლების ქართველ დიდ მოღვაწეებზე, — მასში იფეთქა სურვილმა, რომელიც, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა: დაეწერა მოგონებანი და შთაბეჭდილებანი იმ დროის დიდ მოღვაწეებზე, რომლებთანაც მას წილათ ზედა, თავის სიყრმეში მიახლოებოდა... ხშირათ. ბაასის დროს მოცემული პორტრეტები ილიასი, აკაკის და სხ... ახალ, მეტათ საინტერესო და ორიგინალურ ფერადებში იშლებოდა ჩვენს წინაშე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნიუ-ორკიდან შეუწყო ირაკლიმ ხელი ქართველი ერის ამერიკასთან დაახლოვებას და გაცნობას. ხელი შეუწყო რადიო «თავისუფლება»-ში ქართული სექციის შექმნას. მისი რეკომენდაციით და რჩევით მიმართა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენელმა საქართველოს სოციალდემოკრატიულ მოღვაწეებს ამ საქმეში მონაწილეობისათვის. ამით გავგვქსნა გზა ქართველი საზოგადოებისთვის უცხოეთიდან თავისუფალი ხმის მისაწოდებლად.

აი ასე იღვწოდა ირაკლი წერეთელი მთელი რუსეთის მაშტაბით, ასე თავდადებული და ენერგიული მსახური იყო თავის ერის ინტერესებს.

უკუღმართათ გვეჩვენება ხშირათ ჩვენ ეს ქვეყანა: უკუღმართათ არის ხშირათ მომართული ჩვენი ცხოვრება: ადამიანი, რომელიც მთელი თავისი არსებით და მალაღი ნიჟით მოწოდებულია თავის მოძმეს და მშობელ ერს თავგანწირვით ემსახუროს, «სიძნელე გზისა გაუადვილოს», ემსახუროს საკაცობრიო მალაღ იდეალებს, ტანჯულს და მაშვრალს მალაღოდ მოეფინოს... აი, ასეთ ადამიანს ბოროტი სული, თუ იგივე ბედი, სამოქმედო ასპარეზს და სასიცოცხლო არტერიებს გადაუჭრის სწორეთ იმ დროს, როცა მისი ძლიერება მთელი ქვეყნის წინაშე გაიშლება და ნაყოფსაც იღებს.. გავლით ამ ქვეყნათ მოსული, ბოლომდის მას ისე ვერ ემსახუროს, როგორც ამას უკარნახებს მისი არსება და მოწოდება. ეს დრამა ამ დიდ ბუნებოვან ადამიანისა არის იმავე დროს დრამა ჩვენი განაწამები ერისა...

ირაკლიმ დაიწყო თავის მსოფლმხედველობის დამუშავება საქართველოს ბედის გადასაწყვეტათ; მან დაათავა თავის მრავალმხრივი და დაუფასებელი მოღვაწეობა საქართველოზე ზრუნვასა და ფიქრში.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას შეუძლია იამაყოს ასეთი პიროვნებით. ქართველ ერს შეუძლია იამაყოს ასეთი შვილით, და სწამდეს, რომ სადაც ასეთი დიდი ადამიანები იბადებიან, იქ ერის უკვდავება ისტორიულად დასაბუთებულია.

## ი რ. ვ ი რ ა თ ე ლ ი.

(დიდი ტრიბუნის ხსენება)

განშორდა წუთისოფელს ადამიანი, რომლის სახელი ერთ დროს მთელი კულტურული კაცობრიობის ყურადღებას იქცევდა, მის სიტყვებს ისმენდა, კითხულობდა და აღდრთვებებში მოჰყავდა.

მისი სახელი მქიდროთაა დაკავშირებული დიდ ისტორიულ მოვლენებთან, სადაც ის პირველ როლს თამაშობდა.

როგორც სახელმწიფო სათათბიროს წევრი ის იხვეწს არაჩვეულებრივ ორატორის სახელს. თებერვლის რევოლუციის დროს კი ხდება უდაო ლიდერი დემოკრატიისა და საყოველთაოდ მას უწოდებდნენ რევოლიუციის სინდისს, სილამაზეს და სიამაყეს.

როცა თავისუფლებას და რევოლიუციას გაუჩნდება მტერი კომუნისტების სახით, ირაკლი იჩენს განსაკვივრებელ შორსმკვრივებობას, გრძნობს უდიდეს საფრთხეს და მოუწოდებს დემოკრატიულ ძალებს ენერგიულ ბრძოლისკენ—რევოლიუციის გადასარჩენათ. სამწუხაროდ მისი ცაა უნაყოფოდ რჩება. ირაკლი ბრძოლაზე ხელს არ იღებს. მიდის დამფუძნებელ კრების გახსნაზე, სადაც მას ხვდება ფანატიკოსებისგან შემდგარი ჯგუფი—შეიარაღებული თოფებით, ბომბებით და ტრიბუნისკენ ხიშტებ მიშვერილი. ირაკლი მამაცურად ადის ტრიბუნაზე, აიძულებს მათ ჩაჩუმდნენ და იწყებს სიტყვას... ლენინი დაძაბული ყურადღებით უსმენს მას. მიშვერილი ხიშტები ეშვება. ირაკლიმ აიყვანა სადაო საკითხები პრინციპიალურ სიმალეზე და მკერმეტყველობით დაიპყრო დარბაზი... სამწუხაროთ დამფუძნებელ კრებას დამცველი აღარ აღმოაჩნდა...

ირაკლი მოეშურება საქართველოში, როდესაც ერთგულ საბჭომ გადასწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ირაკლის დაველა—ეს ბედნიერი აქტი ეცნობებოდა ხალხისთვის.

ირაკლი ეროვნული დროშით ხელში გამოდის სასახლის აივანზე—თავის ჩვეულებრივი რინით ამცნობს შეკრებილ ქართველობას ამ ბედნიერ დღეს...

ირაკლი იყო დამფუძნებელ კრების წევრი და განსვენებულ კარლო ჩხვიძესთან საგანგებო კომისიის წევრი სახლგარეეთ წარმოგზავნილი. ამ კომისიამ რომლის მიზანი—დასავლეთისთვის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გაცნობა და დამოუკიდებლობის ცნობისთვის ნიადაგის მოპოვება იყო.—დაიბრავროპის ქვეყნები და გასწია უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა.

ირაკლი იყო წარმომადგენელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სოციალისტურ ინტერნაციონალში. ირაკლის მუშაობის შედეგი იყო ჩვენში სოციალისტური ინტერნაციონალის წარმომადგენლების ჩამოსვლა, რამაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენი ქვეყნის საქმეს—უცხოეთში.

ირაკლი წერეთელი დაიბადა ზემო-იმერეთში სოფ. გორისაში. ეს კუთხე თავის ბუნებით—ერთი საუკეთესოა საქართველოში. ფრანგები, რომ იტყვიან ბედნიერ კაცზე—პერანგში დაიბადაო—ასე მოუვიდა სწორედ განსვენებულს. მამა მისი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, დედა კი ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის და აგრეთვე ზედმიწევნით განათლებული მანდილოსანი, რომელიც სამწუხაროთ მალე გარდაიცვალა მაგრამ ირაკლის და მის და-ძმას არაფერი დაკლებიათ, ისინი იზრდებოდნენ დეიდებთან, რომლებიც სავსებით ასრულებდნენ დედის მოვალეობას.

გ. წერეთელის სახლში თავს იყრიდა მთელი მაშინდელი კულტურული ქართველობა და გასაკვირვალი არ არის თუ ბუნებისაგან უხვად დაჯილდოებულ ბავშვზე ეს გავლენას ახდენდა. მით უმეტეს ისეთი მესხიერების მქონეზე, როგორიც იყო განსვენებული ირაკლი.

ნიჟიერი ბავშვი, ჯერ კიდევ შკოლაში ყოფნის ხანაში დაეუფლა სავსებით მშობლიურ ლიტერატურას. რუსთაველი, ჭავჭავაძე, აკ. წერეთელთან ერთად მან ზეპირათ იცოდა ისეთი ნაწარმოები როგორც ყარაშინიანი და ამირანიანი.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდამ დაიწყო ლექსების წერა და ისეთ კარგ ლექსებს წერდა, რომ უფრო გვიან როდესაც მან ლექსების წერას თავი დაანება და პოლიტიკას მოკიდა ხელი ჩვენ კრიტიკოსებს გული წყდებოდათ—ჩვენ გვეჩიხა ირაკლი ყვირილელი (ფსევდონიმი იყო ირაკლის) ირაკლი წერეთელს პოლიტიკოსოო—ამბობდნენ ისინი.

თბილისის პირველ გიმნაზიას ირაკლი ათავებს ოქროს მედლით.

მოსკოვის უნივერსიტეტში ის ყურადღებას იქცევს როგორც ორატორი, ლებულობს აქტიურ მონაწილეობას სტუდენტთა მოძრაობაში, ლაპარაკობს მიტინგებზე და განცვიფრებებში მოჰყავს ახალგაზრდობა. მას იქერენ და ასახლებენ კიმბირში.

ამ ხანებში ის უკვე სოციალისტური იდეების მატარებელია რასაც ახალგაზრდული გატაცებით ქადაგობს.

ოქტომბრის მანიფესტი მას ანთავისუფლებს. ის მოსკოვში ბრუნდება იურიდიულ ფაკულტეტს ათავებს, დისერტაციას აბარებს და მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ის რჩება რამოდენიმე წელს...

თვითმპყრობელობის მთავრობამ როგორც ვიცით გარეკა პირველი სახელმწიფო სათათბირო. ურჩი დეპუტატები ვიბორგის მოწოდების გამო ციხეში ჩასვა, ახალი საარჩევნო კანონი შეთხზა და ფიქრობდა ამით იხსნიდა თავს, მაგრამ მოსტყუვდა, მეორე სათათბირო უფრო მემარცხენე გამოდგა ვინემ პირველი. როცა ნიკოლოსის მთავრობის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ნიჟიერ და განათლებულ მინისტრ სტო-

ლიპინმა მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა—ფრაქციებმა გადასწყვიტეს პასუხი არ გაეცათ მისთვის, მხოლოდ სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციამ დაადგინა შემთხვევა ხელიდან არ გაეშვა და თავის პროგრამა დაეპირდაკარებია მთავრობის დეკლარაციისთვის. რის შესრულება ევალდება 25 წლის ახალგაზდა ქაბუკს ირაკლი წერეთელს. მაშინდელ ქუთაისის გუბერნიის დეპუტატს. ტრიბუნისკენ ჩქარი ნაბიჯით მიდის ფერმკრთალი, სუსტი აგებულების ქაბუკი, შედის ტრიბუნაზე და გულზე ხელდაკრეფილი იწყებს არსებულ წესწყობილების წესის აგებას. სხდომა სმენათ გადაიქცა,—სიჩუმეში სქექდა და ქუხდა ირაკლის ხმა. როგორც კი გაათავა—ზუბრებმა რეპლიკა მიართყეს—«მადლობა ღმერთს ყველაფერი ეს ნათქვამი იყო არა რუსის მიერ და არა რუსულ ენაზე».

ირაკლის სიტყვამ როგორც ფორმით ისე შინაარსითაც მოახდინა დიდი სენსაცია. ის ყუმბარასავით გავარდა მთელ რუსეთში. გადალახა სახელმწიფო საზღვრები და შეიქნა მთელი კულტურული კაცობრიობის სიტყვის და წერის საგნათ. ერთმა რუსულმა დიდმა ჟურნალმა მისი გამოსვლა ვულკანის აფეთქებას შეადარა.

«წერეთელი წარმოადგენდა ვულკანს რომელიც მთელი იმპერიის ქირვარამს ანთხევდა» ო.

მთავრობამ დიდხანს ვერ მოითმინა წერეთელისა და მისი ამხანაგების არსებობა მან მიმართა ჩვეულებრივ ხერხს პროვოკაციას, დააბრალა სოც.-დემ. სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების სამზადისი და მოსთხოვა სათათბიროს მათი გაცემა. სამწუხაროთ სათათბირო ვერ აღმოჩნდა თავის სიმალეზე, და მისცა მთავრობას ხეობა, მათი იმუნიტეტის აღქმის.

ირაკლიმ მისცა უკანასკნელი ბრძოლა მთავრობას, ამხილა მისი თვალმაქცობა და განაცხადა რომ «ხალხის წარმომადგენლები მზათ არიან პასუხი აგონ თავის მოქმედებაზე, ისინი წარდგებიან სასამართლოს წინაშე დაუმტკიცებელ მის ვერაგობას. ხალხი დაინახავს ვინ არის ჩვენში მართალი».

ერთი გამოჩენილი ჟურნალისტი, დამსწრე ამ ისტორიული სხდომისა, ახასიათებდა ირაკლის, როგორც ახალგაზდა არწივს, რომელსაც მისდევდენ მოსაკლავად მთელი ბრძოლმონადირეებისო, რომლებისაგან ის ცდილობდა თავი დაეხსნა. «იყო უკვე დამის II საათი როდესაც ახალგაზდა დამაზი ქართველი ერთხელ კიდევ უკანასკნელათ შევარდა ტრიბუნაზე სადაც იმან წარმოსთქვა თავისი საუკეთესო სიტყვა»-ო.

ამის შემდეგ ირაკლის სხვა თავის ამხანაგებთან ერთად იქერენ, ასამართლებენ და მიუსჯიან 10 წლის კატორღს.

აღადმყოფობის გამო ირაკლის კატორღაში არ გზავნიან, მაგრამ ჩაკეტეს განსაკუთრებულ საკანში 7 წლის განმავლობაში, რის შემდეგ გადასახლებულ იქნა ირკუტსკის გუბერნიისაში, სადაც მან დაჰყო თებერვლის რევოლუციამდე. თებერვლის პირველ დღეებში ის ჩამოიყვანეს პეტერბურგში სადაც

ის გადაეშვა რევოლუციის ორომტრიალში. აქ ის გახდა ლიდერი დემოკრატიისა და რევოლუციის.

დამფუძნებელი კრების გარეკის შემდეგ, რომლის პირველ სხდომაზე—ბოლშევიკებს მისცა სასტიკი ბრძოლა,—ის ბრუნდება საქართველოში და ხდება მედგარი დამცველი საქართველოს დამოუკიდებლობის.

ირაკლი ბავშვობიდან იყო სუსტი და ავადმყოფობდა ხშირად, 7 წლის ციხეში ყოფნამ, ციმბირში გადასახლებამ, არაჩვეულებრივ ნერვიულ მუშაობამ რევოლუციის დღეებში; შემდეგ ემიგრანტულ პირობებში იმოქმედა ირაკლიზე ის დაასუსტა. დაღლილი, დავადმყოფებულნი უკანასკნელ ხანებში ის ჩამოშორდა ემიგრანტულ საქმიანობას, იმედგამუშაობას, რომელსაც ისტორიისთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

ჩვენს მოკლე წერილში მიზნად არ გვაქვს მისი შრომისა და მოღვაწეობის შეფასება. მასზე მომავალშიც ბევრი ითქმება და დაიწერება; რასაც ხელს შეუწყობს ის დიდი შრომა, რომელიც განსვენებულმა დასტოვა, თუმცა სამწუხაროთ არა სავსებით დამთავრებული (სულ 2.000 გვერდი).

ირაკლის დასუსტებულ ორგანიზმს გაუჩნდა კიბო, რამაც ის იმსხვერპლა. მან დახუჭა თვალი შორს სამშობლოდან. უცხოეთის პრესამ განსვენებული დაახასიათა, როგორც თებერვლის რევოლუციის ლიდერი, მედგარი, შეურიგებელი მებრძოლი კომუნისტურ ტირანიის წინააღმდეგ, დიდი დემოკრატი და სპეტაკი პიროვნება...

მ. ანდუშელი.

### ირაკლი შიჩინაძის დაკრძალვა.

21 მაისს 1959 წელს ნიუ-იორკში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი ჩვენი ამხანაგი ირაკლი (კაკი) წერეთელი.

სამგლოვიარო ცერემონიას, რომელიც სამოქალაქო ხასიათის იყო, დაესწრო მრავალრიცხოვანი საზოგადოება. მათ შორის მრავალი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეურნალისტი, რადიო «თავისუფლება»-ს თანამშრომლები, «სოც. ვესტნიკ» ის და «ნიუ ლიდერ»-ის რედაქციის წევრები, ყველა სოციალისტური დაღუფებების წარმომადგენელი.

სიტყვები წარმოსთქვენს მრავალმა ორატორებმა—საქართველოს სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელმთილაპარაკა ამხ. ილ. გოლდმანმა, ნიუ-იორკის ქარფელის სახელით ბ-ნმა ალექსი ჩხენკელმა, ილაპარაკეს აგრეთვე კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვილიამ მონტომ, ვოიტინსკიმ, ნიკოლაევსკიმ, აბრამოვიჩმა, ამერიკელმა მწერალმა შერტნიკ ვულფმა, ყველა ორატორები განსვენებულს ახასიათებდნენ როგორც დიდ და ღრმა მოაზროვნეს, შეუდარებელ ორატორს, ერთერთ დიდ წარმომადგენელს სოცია-

ლისტურ პარტიისას. მანათებელ ლამპარს რუსეთის დიდი რევოლუციის სინდისისა.

სიტყვების შემდეგ დამწებრებულმა ამხანაგებმა ერთხელ კიდევ თავი მოიხარეს განსვენებულის ცოცხალი ყვავილენი შეშკულ თავახდილ კუბოსთან. რის შემდეგაც ცხედარი გადაეცა კრემატორიუმს კრემატიზაციისათვის.

განსვენებულის ხსოვნას წერილები მიუძღვნა ამერიკა-ევროპის ჟურნალ-გაზეთებმა. საფრანგეთში ირაკლის დიდი წერილი უძღვნა გაზეთ «პოპულერ დიმაწ»-ში ცნობილმა სოციალისტმა სენატორმა მარიუს მუტემ და გაზეთ «პოპულერ»-მა, პარიზის რუსულ გაზეთ «რუსკაია მისლ»-ში დაიწერა მრავალი წერილი. ნიუ-იორკში ჟურნალ «სოციალისტური ვესტნიკ»-ში ქვეყნდება მთელი რიგი წერილებისა, რომლის ავტორია განსვენებულის იდეიური და პირადი მეგობარი ნიკოლაევსკი. ყველანი ხაზს უსვამენ ირაკლის როლს რუსეთის რევოლუციაში და აღიარებენ, რომ ამ ქვეყნიდან კიდევ ერთი დიდი ადამიანი წავიდაო.

### უცხო პრესა ირ. წიგნითელის გარდაცვალებაზე.

მ. მუტემ, სენატორი, ყოფ. მინისტრი—«პოპულერ-დიმაწ», 27.7.59.

«... წერეთლის სიკვდილი ... დიდი და საგრძნობი დანაკლისია სოციალიზმისთვის. დიდი რევოლუციონერი, რომელიც გახდა სახელოვანი თავისი ბრძოლებით რუსეთის რევოლუციის წიაღში ... დიდი და ერთგული მეზობელი ქართული საქმისათვის, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, ისე შემდეგში, დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნების წინაშე...»

წერეთელმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას და მის დაცვას. საქართველოს დაპყრობის შემდეგ მან მთელი თავისი გავლენა და ავტორიტეტი მოახმარა ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენათ...»

მ. იარშლუმი \*), «პოპულერ», 14.7.59.

... იარშლუმი იგონებს. სხვათა შორის. საფრანგეთის ეტაპს ირ. წერეთლის ცხოვრებისა და აღნიშნავს. რომ საფრანგეთის სოციალიზმის ლიდერები—რენოდედი, ჰლიუნი, ბრაკი და სხ. «დიდათ აფასებდენ და უყვარდით ეს კვილწობილი ფიგურა (ფიზიკური და მორალური მნიშვნელობით ამ სიტყვისა): «თავადი-სოციალისტი»-სა. ვუწოდებდით მას

\*) ტელ-ავიდან, სოციალისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

ვჩენ წრეში»... ირ. წერეთელს, განაგრძობს იარშდ უში, როგორც ეგზეკუტივის ინტერნაციონალის წევრს ხშირად აკისრებდნენ მეტათ სათუთ და რთულ დავალებებს, როცა ასეთი მისიისათვის საჭირო იყო ადამიანი სრული ობიექტივობითა და საყოველთაო ნდობით აღჭურვილი».

«წერეთელი იყო დიდი ქართველი პატრიოტი, ის იყო მტკიცე დემოკრატი და ინტერნაციონალისტი და ყოველგვარ კომპრომისს რეაქციის ძალებთან ის უარყოფდა».

... «მოდის ერთი უმშვენიერესი და უკეთილშობილესი ფიგურა სოციალისტურ ინტერნაციონალისა, ადამიანი, რომლისთვისაც პოლიტიკა მუდამ ქამს განუყოფელი იყო მორალისა და ჰუმანიტარზმისაგან». ასე ასრულებს თავის წერილს მ. ი—ში.

ამერიკელ მწერლის ბ. კოფფის სიტყვიდან.

... «ყველა დემოკრატებს და ამხანაგებს რომ გაეხიარებინათ ირ. წერეთელის წინასწარმეტყველური შეხედულება, რომ კონტრ-რევოლიუცია მოდის უკიდურეს მარცხენა სექტორიდან და რაც მოითხოვდა ამის შესაფერ პოლიტიკას ბოლშევიზმისადმი,— ისტორია რევოლიუციისა და, მასთან ერთად, მთელი მსოფლიოსი, შეიძლება სულ სხვა გზაზე შემდგარიყო».

ეგვევ აზრი გაატარა ირაკლის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში რ. აბრამოვიჩმა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი მოკლევი ლაპარაკობს ირაკლის უმაღლეს სულიერ თვისებებზე და ღირსებებზე... ახსიათებს მის მიერ დაწერილ მემუარებს რევოლიუციაზე (2.000 გვ.), რომელსაც ასვია ბეჭედი მაქსიმალური ობიექტივობისა...

ან. მუნი, «ნიუ-ლიდერ», 1.6.59.


... «შეფი-რევოლიუციონერი, არაჩვეულებრივი გაბედულების და სისპეტაკისა, დაჯილდოებული განსაკუთრებული ნიჭით იუმორისა...

თავის სულის სიმაღლით ის იყო კონდორსე რევოლიუციისა; თავის წარმტაცი და მგრძობიერი მკერმეტყველებით—დანტონი...

მისი ადგილია ისტორიაში—იყოს სიმბოლო ერის უღრმესი ასპირაციებისა»...

რუსულმა პრესამ, სოციალისტურმა და დემოკრატიულმა («სოციალ. ვესტნიკ», «ნოვოე რუსკოე სლოვო», «რუსკაია მისლ», «ნოვი ქურნალ» და დიდი არა-პერიოდული გამოცემა პროფ. კარპოვიჩისა), მრავალი თბილი წერილები მიუძღვნა ირაკლი წერეთელს.

«სოციალ. ვესტნიკ»-ში ქვეყნდება, სხვათა შორის, სერია წერილებისა ბ. ნ—სკის, რომელსაც აქვს მეტათ სანტერესო, ფართე ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათი.



სანდორ კორძია  
(1888—1959)

17200  
50271



დავკარგეთ ჩვენი კარგი, ჩვენი დაუფიწყარი სანდრო. 11 ივლისს, შაბათს, ის მივაბარეთ უცხოეთის, თუმცა მეგობარი ხალხის მიწას. ერთი თვით ადრე მან თავი შეაფარა სავადმყოფოს; მას იმედი ჰქონდა, და ჩვენც, რომ ის განიკურნებოდა. ასეთ ტრაგიკულ ბოლოზე აბა ვინ იფიქრებდა. მაგრამ ბედი სასტიკი აღმოჩნდა: ერთ თვეში დაიღია ადამიანი, ჩვენი ძვირფასი სიცოცხლე მოისპო, სამშობლოს სიყვარულით ანთებული ცეცხლი ჩაქრა.

უბედობა ქართველთა ემიგრაციის ხვედრია: 1953 წლის შემდეგ მან წაართვა ამ ემიგრაციას დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელი ლოე უორდანი. ცოტახნის შემდეგ—ევგენი გეგუქორი; უკანასკნელად სულ მოკლე ხანში კი მისი სახელოვანი მეტრძოლნი: კოწია კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, გრ. ურატაძე, ბოლოს—ქართველი ხალხის დიდი შვილი და როგორც მას უწოდეს, რევოლუციის სინდისი, ირაკლი წერეთელი, და ახლა მათ თან მიაყოლა ჩვენი სანდროც.

ვინ იყო სანდრო კორძია? მაგრამ ეს რა საკითხავია? იყო კი ემიგრაციაში ისეთი ქართველი, რომელიც მას არ იცნობდა? ვუკირობ, ასეთი იშვიათად მოიპოვება. ჩვენი სანდრო იყო, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო საყვარელი და პოპულარული. მაგრამ ასე პოპულარული ის იყო ყველგან: ჩაგრული ერების და აგრეთვე რუსი ემიგრაციის წარმომადგენლებიც მასში ხედავდნენ ქართველი ხალხის ყოველნი მიწაყვებების საუკეთესო გამომხატველს და ღრმა აღანილობის მატარებელს.

სანდრო დაიბადა საქილაოში, ქალაქ სანტრედიის ახლო; განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და ხარკოვის უნივერსიტეტში. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გამოვიდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, თავისი მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს აქტიურად იყო ჩაბმული რევოლიუციურ მოძრაობაში. მოწაფეობიდანვე იგი ჩადგა სოციალდემოკრატიის რიგებში და უკანასკნელ წუთამდე დარჩა მისი ერთგული. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის 30 წლისავე არ იყო, რომ არჩეულ იქნა ფოთის ქალაქის თავად. ასეთი ახალგაზრდა ქალაქის თავი მანამდის გაუგონარი ამბავი იყო. ის ამ სპასუხისმგებლო თანამდებობისთვის ღირსეული აღმოჩნდა.

ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი: როდესაც პირველ დიდ ომში გამარჯვებული ინგლისის სამხედრო ფლოტი ფოთს მოადგა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და დაცვისათვის თანაშემწეობა გერმანული სამხედრო ნაწილების გადაცემა მოითხოვა, ფოთის ქალაქის თავი არ შეუშინდა

ქალაქზე მიმართულ სამხედრო გემების ზარბაზნებს და მან  
ენერგიულად უპასუხა ინგლისელებს: «საქართველო არ გა-  
სცემს თავის მეგობრებს». ქართველმა ხალხმა არ გასცა  
ისინი და დააბრუნა თავის სანშობლ ოწი. ეს იყო ქართველი  
ხალხის კეთილშობილური და რაინდული აქტი, რომლის სი-  
სრულეში მოყვანა სანდროს ხვდა წილად.

საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს დაკავე-  
ბის შემდეგ სანდრო საქართველოს მთავრობას გაჰყვა ევრო-  
პაში, სადაც ის ამ მთავრობის დავალებით მუშაობდა.

სანდრო იყო ეროვნული მებრძოლი და ამ ბრძოლას ის  
აწარმოებდა მთელი თავისი არსებით, ჭკუით, გრძობით, მი-  
სთვის ჩვეული ტემპერამენტით და გატაცებით. ამასთან მან  
კარგად იცოდა, რომ პატარა ერის სუსტ ძალებს თავისუფ-  
ლებისთვის ბრძოლაში უმოწყალო მტრის წინააღმდეგ სჭირ-  
დება თანაგრძობა, მოკავშირე და ამ მოკავშირეს ის ეძებდა  
ყველგან, ყოველ ერში, თვით რუს ერშიც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სანდრო იყო ინიციატო-  
რი და ქართული ძალების ხელმძღვანელი გერმანიაში მცხო-  
ვრები ეროვნული ემიგრაციების დაახლოების საქმეში და  
აქაურ ქართველებში მხოლოდ მას მიუძღვის დამსახურება  
ამ ეროვნული ემიგრაციების საერთო ფრონტის შექმნაში სა-  
ბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სანდროს  
ბინაზე და მისი თაოსნობით დაიწყო მოლაპარაკებები კომუ-  
ნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძლიერი აპარტის. რადიო-  
სადგურ «განთავისუფლების» ორგანიზაციის შექმნისა და ამ  
მუშაობასთან დაკავშირებული ეროვნული სექციების ჩამო-  
ყალიბების შესახებ, რაც ბოლომდის სანდროს აქტიური მო-  
წაწილებით მიმდინარეობდა.

სანდრო აკეთებდა დიდ ეროვნულ საქმეს და ამაში მას  
ზურგს უმაგრებდა მთელი ქართველობა; ამით იყო მისი პო-  
ზიცია მტკიცე და თვითონ ის მუშაობის ხალისით სავსე.

სანდრო არ იყო თეორეტიკოსი, მისი ასპარეზი იყო პრა-  
ქტიკული და საორგანიზაციო საკითხები, რომლების მოგვა-  
რებაში მან დაუშრეტელი ენერგია და თავდადება გამოიჩინა.  
ჩაგრული ერების ემიგრაციის გარდა, მან კარგი განწყობი-  
ლება დაამყარა გერმანიის მმართველ წრეებთან და სხვა, კო-  
მუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ერების წარმომადგენლებ-  
თან. მას ყველა პატივს სცემდა მისი ლოიალობისა და ქარ-  
თული საქმის ერთგულებისათვის. ასეთივე პატივისცემა მან  
მოიპოვა გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში. ყვე-  
ლაფერმა ამან დიდად შეუწყო მას ხელი მისი ფუნქციების  
ასრულებაში. ამ ფუნქციებიდან კი პირველ დროში უმთავ-  
რესი იყო გადმოხვეწილ თანამემამულეებზე ზრუნვა, მათი  
დაბინავება, სამუშაოზე მოწყობა და, რაც მთავარია, მათი  
გამგზავრება ამერიკაში თუ სხვაგან. ეს ამოცანა სანდრომ ჩი-  
ნებულად შეასრულა და ყველა მისი მაღლიერი იყო.

სანდროს კარგად ესმოდა, რომ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს ემიგრაციაში აქვს მხოლოდ ზოგად ეობა, ბრძოლის მოვალეობა. ის ამ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მას შეხედებოდათ ყველგან: ქუჩაში დემონსტრაციაში, მიტინგზე მოლაპარაკეს, მრავალ ორგანიზაციებში მუშაობაზე და სხვა. ის მუდამ მოძრაობაში იყო, მან დასვენება არ იცოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი საქმე ღირსეულსა და მუყაით ადამიანის ხელში იყო.

თავისი ბუნებით სანდრო იყო ჩუმი მომუშავე, მომთმენი, გამტანი და შემარიგებელი ხასიათის ადამიანი. ეს მისი ძვირფასი თვისება ხშირად იქნა წარმატებით გამოყენებრილი როგორც ქართველობის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. ის ებრძოდა კომუნისმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დაქსაქსვას და მუშაობდა განუწყვეტლივ მათი გაერთიანებისთვის იმ შეგნებით, რომ მხოლოდ ამ ძალების გაერთიანება იძლეოდა ეფექტური წარმატების გარანტიას.

თავისი ბრძოლის პროცესში სანდრო დაუკავშირდა მრავალ ორგანიზაციას. უკანასკნელ წლებში ის იყო რადიოსადგურ «თავისუფლების» თანამშრომელი და მისი მკაფიო ხმა გაისმოდა მსოფლიოს უსაზღვრო სივრცეში, ის აღწევდა საქართველოსაც და სწორედ საქართველოსთვის იყო ის დანიშნული. სანდრო ლაპარაკობდა თავისი ქართველი თანამემამულეებისთვის, რომლებიც მას—ჩვენ ვიცით ეს—იამოვნებით უსმენდნენ. დღეს ეს სიმპათიური ხმა დღშს და აღარ ისმის სამშობლოში, ქართული მებრძოლი ორგანიზაცია დაობლდა.

38 წლის განმავლობაში სანდრო კორძაია აწარმოებდა გამუდმებულ ბრძოლას ქართველი ხალხის პოლიტიკური განთავისუფლებისთვის და ახლა იგი დაეცა ამ ბრძოლის ველზე დამოუკიდებელი საქართველოს დროშით ხელში.

ჩვენში სამუდამოდ დარჩება სანდროს ხსოვნა, ხსოვნა თავგანწირული მებრძოლისა და უსაყვარლესი და უსპეტაკესი ადამიანისა.

გულდამწყარი მეგობარი.

### სანდრო კორძაიას დასაფლავება.

სანდრო კორძაია დასაფლავებულ იქნა 11 ივლისს, შიშხენში, სასაფლაო «ვალდფრიდპოფზე». დასაფლავებას დაესწრნენ გარდა მთელი ქართული სათვისტომოსი მრავალი გერმანელი, ამერიკელი და საბჭოთა იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ ერთა წარმომადგენელი, სულ 260-მდე კაცი. ამათ შორის ბევრი იყვნენ გერმანიის სოც.-დემოკ. პარტიის წევრები. კუბო შემკული იყო დიდძალი გვირგვინებით და ყვავილებით.

სასაფლაოზე პირველი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა რაქდენ არსენიძემ მთავრობის ყოფილ წევრთა კოლეგიის, ეროვნული საბჭოს და რადიო «თავისუფლების» სახელით.

გერმანულ ენაზე ილაპარაკა ბ-მა ნიკო ნაკაშიძემ, რომელმაც ვრცლად დაახასიათა განსვენებულის პიროვნება და მისი ღვაწლი ქართველი ერისა და ემიგრაციის წინაშე.

ბავარიის შრომის სამინისტროს სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ-მა პრილერმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა განსვენებულის გულთბილი მზრუნველობა ყველა ეროვნების გადმოხვეწილებზე, აგრეთვე მისი ღრმა პატრიოტიზმი და შეურიგებელი ბრძოლა კომუნისტური იმპერიალიზმისა და დიქტატურის წინააღმდეგ.

ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-მა დრეიერმა მადლობით აღნიშნა განსვენებულის ერთგული შრომა კომიტეტის ჰუმანური მიზნების სამსახურში და ჩაგრულ ერთა განთავისუფლების საქმის სასარგებლოდ.

გერმანიის სოციალდემოკრატიის სახელით გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა აშხ. ტიპლტმა, რომელიც თავმჯდომარეობს სანდრო კორძაიას თაოსნობით დაარსებულ ინტერნაციონალურ სოციალისტურ გაერთიანებას.

პარიზის ბლოკის სახელით ბ-ნმა ტოროსიანმა მოკლე მაგრამ შინაარსიანი სიტყვით დაასურათა მიცვალებულის მრავალმხრივი პოლიტიკური მუშაობა თავის სამშობლოს და სხვა ჩაგრულ ერთა სამსახურში და მისი პირადი ჰუმანური თვისებები.

შემდეგ ილაპარაკეს უკრაინული, უნგრული, პოლონური, ჩეხური და სხვა ჩაგრული ერების ემიგრანტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც მადლობით მოიხსენიეს განსვენებულის ღვაწლი, მათი თანამემამულეების მიმართ და საერთო პოლიტიკური მიზნების სამსახურში.

საქართველოს სოც.-დემ. პარტიის სახელით საბოლოო გამოსათხოვარი სიტყვა გერმანულ ენაზე წარმოთქვა ნიკო იმნაიშვილმა, რომელმაც მადლობით აღნიშნა სხვადასხვა ერთა წარმომადგენლების მიერ განსვენებულისთვის უკანასკნელი პატივის გაწევა და დაახასიათა სანდრო კორძაიას მრავალმხრივი მოღვაწეობა მშობელი ერის და მშობლიური პარტიის სამსახურში, როგორც საქართველოში, ისე ემიგრაციაში.

ასე დავემშვიდობეთ ძვირფას ამხანაგს და მეგობარს...

ნ. ი.

### სამძიმრის ღვაწლები და წერილები.

აშხ. სანდრო კორძაიას გარდაცვალების გამო ქალბატონმა მარგა კორძაიამ, ქართულმა სათვისტომომ, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის გერმანიის ორგანიზაციამ და რადიოსადგურ «თავისუფლების» ქართულმა რედაქციამ მიიღეს მრავალსამძიმრის ღვაწევა და წერილი.

მიუნხენის ობერბურგომისტრ თომას ვიმერისგან:

ამერიკული კომიტეტისგან (ნიუ-იორკი);

ამერიკული კომიტეტის ევროპის წარმომადგენლობის-  
გან (მიუნხენი);  
ამერიკული კომიტეტ. მიუნხენის წარმომადგენლობისგან;  
პოლონელ ლტოლვილთა კავშირისგან;  
თავყრილობათა სახლის გამგეობისგან (ფინგერლე, მაუ-  
რუსი, ბერგი და ჰუმნიუსი);  
საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზ-  
ღვარგარეთელი ბიუროსგან (შ. აბდუშელი, პ. სარჯველაძე);  
საქართველოს სოც.-დემ. პარტიის პარიზის კომიტეტის-  
გან (ნ. ორაგველიძე, გ. წერეთელი);  
პარიზის ქართული სათვისტომოს თავმ. ი. ცინცაძისგან;  
ინა ჟორდანისგან;  
ლიდა ნასყიდაშვილი-კორძაისგან;  
ნინო ჯაყელისგან;  
ოლია და გიორგი ერადისგან;  
ნინო და კალე სალიასგან;  
პავლე სარჯველაძისგან (ოჯახით);  
მარიამ ღლოღბერიძისგან;  
ნიკო ორაგველიძისგან;  
აბონდანში მცხოვრები ქართველებისგან: კოწია გვარჯა-  
ლაძე, ა. მებურიშვილი მეუღლით, გ. ქლენტი, გ. წერეთელი,  
ე. ურუშაძე, ს. ჭყონია, ნ. მელქაძე, ლ. ქლენტი.  
პროფ. ივანე ნიკურაძის და ოჯახისგან (გეტინგენი);  
დავით ბერძენიშვილის, კირილე ვეკუასა და გიორგი სა-  
ჯიასგან ოჯახობით (ბერლინი);  
თინა რომანისგან მეუღლით და ბავშვებით;  
დავით ვაშაძისგან მეუღლით (იტცეპო);  
გრიგოლ რობაქიძისგან (ყენევა);  
ხარიტონ შავიშვილისგან (ყენევა);  
კიტა ჩხენკელისგან (ციურისი);  
აკმეი პაპავასგან ოჯახობით (ბუენოს აირესი);  
გიორგი ნაკაშიძისგან ოჯახობით (ბუენოს აირესი);  
ვიქტორ ნოზაძისგან (ჩილი);  
ბარბალე, მართა და თინა აღშიბაიებისგან (ამერიკა);  
დ. ჩხატარაიშვილი და გ. გაბლიანისგან ოჯახებითურთ;  
ილია ვოლდმანისგან (ნიუ-იორკი);  
პავლე კვარაცხელიასგან ოჯახობით (ფლორიდა);  
ლილიან ზალბანისგან (ნიუ იორკი);  
არტურ მოორიდან (პარტფორდი);  
მარკოზ ტულუშისგან (ბრიუსელი);  
სანდრო მენალარისგან (სტამბოლი);  
ერეთოზ რამიშვილისგან (ავსტრია);  
ირაკლი გველესიანისგან (მილანი);  
ამხ. სანდრო კორძაიას ნეკროლოგები გამოვიდა მიუნხენ-  
ის გავრცელებულ დემოკრატიულ გაზეთ «ზიუდდოიტშე  
ცაიტუნგ»-ში და სოც.-დემ. გაზ. «ფორვერტს ზიუდპოსტ»-ში.

## გ ვ ი რ გ ვ ი ნ ე ბ ი ს ს ი ა

- ბავარიის შრომის მინისტრისგან;
- გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის მიუნხენის კომიტეტისგან;
- გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის პარდტჰოფის სექციისგან;
- ვილი ტიმესგან (ცნობილი გერმანელი სოც.-დემოკრატი);
- თავისუფლების კავშირისგან.
- უცხოელ გადმოხვეწილთა ცენტრალური კავშირისგან;
- ერთა განთავისუფლების ამერიკული კომიტეტისგან;
- ამერიკული კომიტეტის ემიგრანტული ცენტრისგან;
- საბჭოთა კავშირის ზესწავლის მიუნხენის ინსტიტუტისგან;
- საბჭოთა კავშირის ერთა განთავისუფლებისთვის ბრძოლის ლიგისგან (პარიზის ბლოკი);
- ქართულ ეროვნულ საბჭოსგან;
- საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისგან;
- გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა სთავისტ.მ.ს.ს.გან;
- რადიოსადგურ «თავისუფლების» ქართული რედაქციისგან;
- ქართული პოლიტიკურ-კულტურული კავშირისგან;
- რადიოსადგურ «თავისუფლების» სომხური რედაქციისგან;
- შტუტგარტელ სომეხ მეგობრებისგან;
- ადერბაიჯანულ ეროვნულ ცენტრისგან;
- რადიოსადგურ «თავისუფლების» ადერბაიჯანული რედაქციისგან;
- ჩრდილო-კავკასიელთა ეროვნულ საბჭოსგან;
- რადიოსადგურ «თავისუფლების» ჩრდილო-კავკასიური რედაქციისგან;
- კახაკების უმაღლესი ემიგრანტული წარმომადგენლობისგან;
- გერმანელი მეგობრებისგან;
- მეზობელთა ჯგუფისგან;
- მეგობარ თანამებრძოლებებისგან;
- ბერლინელი მეგობრებისგან;
- ორი მეგობრისგან;
- ბაზლერის ოჯახისგან;
- პელო. თინა და ლილისგან;
- ვანო და ალექსანდრე ნიკურაძეებისა და ოჯახებისგან;
- გერჰარდ. თამარ. გერჰარდ და ოთარისგან;
- ეკიმ გიორგი კორძახიასა და ოჯახისგან;
- მარგასაგან (განსვენებულის მეუღლე).

**ზოგადი ასპექტი**  
**საბჭოთავო რისო პლანობაობისა.**  
 (გავრძელება)

სამი ასპექტით ხდება შეჯიბრი ორ მსოფლიოს შორის. შეჯიბრი პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური.

განვიხილოთ სამივე. დავიწყეთ პირველიდან.

მეტად დიდი და ერთი შეხედვით გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინეს დასავლეთის სახელმწიფოებმა კომუნისტებთან პოლიტიკურ ურთიერთობაში. მშვიდობის სიყვარულით, თუ მსხვერპლის გაღების მორიდებით, დათმობა დათმობაზე გააუკეთეს კომუნისტურ აგრესორებს. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ კორეის ამბავი. ხომ იცით, რომ მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ ნახევარი ეს ქვეყანა კომუნისტებს ჩაუტოვეს ხელში. ვიეტნამშიაც ხომ იგივე გაიმეორეს. აქაც კომუნისტურ აგრესორებს მისცეს საკმაოდ დიდი ლუკმა ჩრდილო ვიეტნამის სახით. ახლო აღმოსავლეთში, თუ შუა აზიაში მათ, შემოტევისას შორიდან უცქერიან თითქმის სეირის მაყურებლებივით, ანდა ნაგვიანები პოლიტიკური ზომებით კმაყოფილდებიან. ევროპაშიც მთელი აღმოსავლეთის სახელმწიფოები ხელაღებით კალთაში ჩაულაგეს და იქ კომუნისტური რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ სტალინის ყოველი დაპირებისა და ხელშეკრულებისა, მართალია წუწუნით შეხედენ, მაგრამ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრიათ. აი ამან გაათამაშა მოსკოვის ბატონები და ახლა გერმანიის გაყოფის დაკანონებას და ბერლინის დაცლას მოითხოვენ მშვიდობიანობის შენარჩუნების სახელით. ღრუჭოვმა, რომელმაც ეს კამპანია დაიწყო, მშვიდობიანობის დამცველის ლენინური ჯილდო მიიღო, მაგრამ მოსკოვის ამ ფარისევლობას კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ ფაქტს, რომ დასავლეთი თითქოს არ გრძნობს, რომ იგი მეორე მიუხეხენს აკეთებს, წელი, სისტემატიური და თანდათანობითი დათმობებით. დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებმა ეს კარგათ იციან. ბერლინის ერთი პოლიტიკური მოღვაწე ასე სჯიდა კომუნისტებისადმი დამოკიდებულების ტაქტიკას: «რაც ნაკლებს დაუთმობენ კომუნისტებს ის სჯობია. ყველაზე უკეთესია, სულ არაფერი დაუთმონ. ვინაიდან კომუნისტები ისეთი ხალხია, პირში რომ თითი ჩაუდვა—მთელ ხელს მოგქავენ»-ო. და ეს სიმართლეა, რომელსაც ყოველდღე გვიმტკიცებს საერთაშორისო ცხოვრების მოვლენები.

ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოდის დასავლეთს—ან ნამეტანი გულკეთილობით, ან იდეალისტობით. არა. ასეთი «იდეალისტობა», რომელიც ბოროტებას უხსნის გზას, დიდი დანაშაული იქნებოდა. მაგრამ უარესი ის არის, რომ ეს მოდის დასავლეთს თავის ტრადიციული პოლიტიკის გზით სიარულით, რომელიც მშვიდობიანო-

ბის ხანისთვის არის განკუთვნილი. კომუნისტების მხრივ წარმოებს ომი ან საომარი მდგომარეობის პოლიტიკა და სტრატეგია. დასავლეთი კი კომუნისტურ მოსკოვს უყურებს, როგორც ქვეყანას, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც გამოსწორდება, საბჭოთა ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობა დამყარდება, უსაზღვრო ბაზარი გაიხსნება. ამ მომენტი თვითეული სახელმწიფო ფიქრობს მთელი სარგებლობა ან მისი დიდი ნაწილი მაინც თავისთვის მოიპოვოს... მაკმილანის და მონგომერის მოგზაურობა მოსკოვში ამის უტყუარი მაჩვენებელია, სხვა ძველ ამბების გახსენებასაც რომ არ გამოუდგეთ. ამრიგათ დასავლეთი ზოგიერთ, მათ შორის შინაგანი წინააღმდეგობების გვერდზე გადადებან არ თვლის საჭიროთ და ამით ასუსტებს დემოკრატიულ ბლოკს.

მათი გამოფხიზლება და საერთო ინტერესების სადარაჯოზე დადგომა ხდება მხოლოდ კომუნისტების ზედმოქმედებით, მათი ბრუტალური თავდასხმით. კომუნისტური დიქტატურა თავის უხეში აქტებით არის საუკეთესო პროპაგანდისტი თავის წინააღმდეგ. იგი ქმნის დასავლეთის გაერთიანების ატმოსფერას. თითქმის ყველა თავდაცვითი კოალიციები დასავლეთში გამოწვეულია უშუალოთ საბჭოთა მთავრობის იერიშებით. მათ მოსაგერებლად. როცა კომუნისტური ხელისუფლება შემოიჭრა ჩეხო-სლოვაკიაში, რომელიც ევროპის თითქმის შუაგულათ იყო მიჩნეული. დასავლეთმა იგრძნო საჭიროება ბარიერის შექმნის და კომუნისტთა აგრესიისთვის საზღვარის დადების. მანამდე კი, — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთის სახელმწიფოები სრულიად განიარაღებულნი იყვნენ კბილებამდე აღჭურვილი საბჭოთა კოლოსის წინააღმდეგ. აზიის ქვეყნების ბლოკიც საბჭოთა კავშირის აგრესიულ პოლიტიკის შესაჩერებლად შედგა. ახლო აღმოსავლეთშიაც ე. წ. ბალდადის პაქტი, რომლის გაწეწვას ახლა ასეთი თავგამოდებით სცდილობენ ბოლშევიკები, მხოლოდ კომუნისტური საბჭოთა რუსეთის შიშით არის შექმნილი. განა ირანმა არ იგემა საბჭოთა კლანკები, როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წითელმა ჯარებმა თავრიზის რაიონი, სპარსეთის აზერბაიჯანათ წოდებული, — ავტონომიურ რესპუბლიკათ გამოაცხადეს და სამუდამოთ ირანზე მის ჩამოშორებას ცდილობდნენ?

მაშასადამე უდაოთ უნდა იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ დასავლეთის ქვეყნები უფრო მეტს სწავლობენ საკუთარი მწარე გამოცდილებით, ვინემ წერილობითი თუ სიტყვიერი პროპაგანდით. უშუალოთ კარზე მომდგარი საფრთხე უფრო აფხიზლებს ქვეყანას, ხალხს, ვინემ თუნდ ქურნალ-გაზეთების წერილები. მით უმეტეს რომ გაზეთები თვითეულ ქვეყანაში მრავალგვარია და მათში ხშირათ ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრის, პერსპექტივას და დაფასებას შეხვდებით კომუნისტური რეჟიმისა და საბჭოთა მთავრობის შესახებ.

ამას ხელს უწყობს ერთი გარემოებაც: საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა თავის არსებით ხაზებში იმავე მიმართულებით მიდის მსოფლიოში, როგორც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს იყო დასახული. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეფის რუსეთი უკვე დროგადასული იყო და მსოფლიობატონობაზე მხოლოდ სიზმარეული ოცნება შეეძლო. კომუნისტი კი, რევოლუციით აფორიაქებული საზოგადოების ნიდავიდან გამოსული, უდიდესი დინამიკური გატაცებით მისწრაფის იმავე მიზნისაკენ. მხოლოდ მას ღაზუნგებიც სხვაგვარი აქვს, უფრო მიმზიდველი და ცბიერი, ტემპი მოძრაობისა შეუდარებლად უფრო აჩქარებული, ამიტომ იგი ბევრათ უფრო საშიშია, და მავნებელი. ვინმე მეფის დროის იმპერიალისტური ოცნებები. მაგრამ ეს მსგავსება ხელს უშლიდა და დასავლეთის მოღვაწეებს ეკრძოთ მთელი საშინაოებ განახლებული სახით მოვლენილი იმპერიალიზმისა, რომელიც ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას ქმნის და ახალ საერთაშორისო დამოკიდებულებათა შემოღებაზე ოცნებობს. იგი რუსულია თავის ძირებით, მაგრამ უფრო შორს მიმავალი თავის ახალი იდეოლოგიით და მსოფლიო ბატონობის გეგმებით. და აი ერთი მხოლოდ ამ ახალ ფორმას ხედავენ, კომუნისტი პირველყოფლისა მსოფლიოს ახალ ავთმყოფობათ აქვთ მიჩნეული, რადგან იგი თითქმის ყველა ქვეყანაში მეტად თუ ნაკლებად არის მოდებული, და ამიტომ ხშირად კომუნისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლით კმაცოფილ დებინა. მეორენი მხოლოდ მისი საძირების ისტორიულობას აწვებიან, და ამით თავსაც კი ინუგეშებენ. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ზოგნი კიდევ კომუნისტის მაგიერ მთელ რუსის ერს უცხადებენ შეურიგებელ ბოძლას და კომუნისტის ბუნება და თვისებები სავსებით ავიწყდებათ. აი აქ არის დამარჯული დიდი გაუგებრობა, რომელმაც არა ერთი ზიანი მიაყენა დასავლეთის პრესტიჟს და მდგომარეობას.

სინამდვილეში კი ჩვენ ვფიქრობთ, მას ყველა აღნიშნული თვისებები აქვს. ყველა სახეობას ატარებს; იგი ამით მრავალმაროვია და მრავალფეროვანი, რაც მას მალეც ძალას, რადგან აძლევს საშუალებას სხვადასხვა ფორმით მოგვედინოს და გამოუცნობელი დარჩეს. საკმარისია გავისხნოთ, როგორ იქცევა ის აფრიკაში, ან აზიაში, ან ერთი მხრით, თავის ხელქვეით მოქცეულ ქვეყნებში. მეორე მხრით. დასავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობაში და დავაში, მესამე მხრით. ერთგან იგი ეროვნული სახით გამოდის, ერთა განმათავისუფლებელის და ნაციონალიზმის მეგობრათ გვევლინება. მეორეგან ნაციონალიზმის ყოველ გამოსახულებას ახშობს— და ერთ საბჭოთა ხალხში ყველა ერის გათქვეფას აწარმოებს; მესამეგან მსოფლიო მშვიდობის მოციქულია და ადამიანის ყოველი დაჩაგვრის მოწინააღმდეგე, კაპიტალისტური ექსპლოატაციის დაუქინებელი მტერი და სხვა.

ვფიქრობთ, მაგალითების მოყვანა აუცილებელი არ არის, იმდენად ყოველივე ეს საყოველთაოდ ცნობილია.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, ბოლოს დასავლეთიც მივიდა, ან უკეთ მიდის ამ ახალი ვითარების და მისი მოსალოდნელი შედეგების შეგნებამდე. მართალია, საბჭოთა მესვეურებთან მორიგების და შეთანხმების შესაძლებლობაზე ოცნება ჯერ მთლიანად არ გამქრალა, მაგრამ ამ ოცნებას თანდათან ფრთები ეკვეცება. უნდა ითქვას, ამ შემთხვევაშიც ხრუშჩოვის ენაწყლიანმა ტრახანმა, თავის მიზნების დაუღალავათ და ხშირათ დაუფიქრებლათ წინ წამოქიმეამ ბევრს აუხილა თვალი; უფრო კიდევ იმ თავდასხმებმა, როგორც არის ბერლინიდან დასავლეთის გასვლის მოთხოვნა, ახლო აღმოსავლეთში შექერა, რასაც ერაყში კომუნისტების ნახევრათ გაბატონება მოჰყვა და რაც დიდად მნიშვნელოვანი ნავთობის კონცესიების დაკარგვას უქადის დასავლეთის სახელმწიფოებს.

ამ უკანასკნელ ხანებში ამას დაემატა ტიბეტის აჯანყების ჩაქრობა, ლაოსის ამბები, ჩინეთის თავდასხმა ინდოეთის საზღვრებზე; ყველა ეს კიდევ უფრო ამახვილებს დასავლეთის სიფხიზლის გრძობას და დიდად შეარყია თვით აზიის ერები და სახელმწიფოები, სადაც ჩინეთის ავტორიტეტი და პრესტიჟი აქამდე მეტათ მაღლა იდგა.

თვით ხრუშჩოვის მოგზაურობამაც შეერთებულ შტატებში ვერ შეაჩერა სიფრთხილე და უნდობლობა საბჭოთა მესვეურებისადმი. თვით ამ ვიზიტს წინაწინვე ბევრნი შეხვედნენ უარყოფითად, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში. ხრუშჩოვის ენაწყლიანობამ და გამწყრალი დიქტატორის ტონმა, რომელიც მან გამოიჩინა— არა ვგონებთ, ეს ძირითადი მიდრეკილება შესცვალოს!..

უჩვეულოდ ცივი შეხვედრა, აინჟნაუერის საპასუხო ვიზიტის მომავალი წლის გაზაფხულამდე გადადება და ისიც ბერლინზე წინასწარ ახალი კონფერენციის შემდეგი დროისათვის, ყველა ეს და მრავალი სხვა დამახასიათებელი ნიშნები გვეუბნება, რომ საბჭოთა კავშირის და საერთოდ კომუნისტური მოძრაობის მთელი საშიშროების შეგნება იღებს უფრო კონკრეტულ სახეს. ახლა ყველა ხედავს, რომ მაგარი, უხეში სტალინი და მელიასავით მიწა-მიწა მძრომი ხრუშჩოვი არსებითად ერთ და იმავე პოლიტიკურ ხაზს მიჰყვებიან.... არც ფერი უცვლიათ, არც შინაარსი, ამიტომ დასავლეთისთვის ეხლა კიდევ უფრო მეტათ საუიროა მთლიანობის შეკვრა, მეტი სიმაგრის და შეუთყვეველი ნებისყოფის გამოჩენა. შესძლებს იგი ამას?

სანამ ამაზე საბოლოო პასუხს გავცემთ, საუიოა განვიხილოთ სამხედრო და ეკონომიური შეჯიბრის მდგომარეობაც განვიხილოთ. ამაზე შემდეგ.

რ. არხნიძე.

## საქართველო ოკუპაციის ძვეშ.

### 1.

#### 1. «მატყუარა მეცნიერი»

ქართული კომუნისტის ფურცელზე (იხ. 29 აპრ. 1959 წ.), ვილაც ისტორიულ მეცნიერების კანდიდატი სელენიევი თავის ფანტაზიის ნაყოფს სინამდვილეთ აცხადებს. დასავლეთის და განსაკუთრებით ამერიკის მრეწველობის ვითარებას ისე აქვეითებს, ისე ანიავეებს, თითქოს ესაა საბჭოთა რუსეთის გარდა—მთელი ქვეყნიერება სიმშვილის კარტეზზე მიმდგარი, უმუშევრობა ანჩობს, მრეწველობა სტაგნატიურ მდგომარეობაშია—ამავე დროს საბჭოეთში არც უმუშევრობა ყოფილა, ქვეყანაც ყვავის, მცხოვრებნიც ბედნიერებაში შეცურებულან.

გავსინჯოთ ამ უბადრუკი მეცნიერის მტკიცება. თურმე მრეწველობის ზრდას დასავლეთში კი არ მოაქვს მშრომელთა ცხოვრების დონეს ამაღლება, არამედ გაღატაკება და სიღარიბე, ამის დამამტკიცებელია ხშირი უმუშევრობა და ეკონომიური კრიზისები.

რასაკვირელია ეს ორივე მოვლენა პირველი—მეორედან გამომდინარე არსებობს მაგრამ «მეცნიერი» თავს არ იწუხებს მათ გამოვლინებას ობიექტური შეფასება მისცეს. არც დასავლეთის ეკონომისტები მალავენ, რომ უმუშევრობა ხშირი მოვლენაა დასავლეთში. მაგალ. ფრანგი ეკონომისტი ალენის ცნობით 1929 წ.—ვიდრე 1943 წლამდე თავისუფალ ქვეყნებში ყოფილა 10-12 მილიონამდე უმუშევარი,—მაგრამ ისიც უდავოა—მისივე გამოკვლევით, რომ ამავე დროს მანძილზე რუსეთში 15 მილიონამდე მცხოვრებნი დახოცილან ნახევრად სიმშვილობის ნიადაგზე. ასე რომ დასავლეთში უმუშევრობა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ვინემ საბჭოთა წარმოებაში ჩაბმული მუშა, რომელსაც ნაკლები კვებით და მრავალ სოციალურ შეჯიბრებით და დანაკვეთების შესრულებით ძალღონე აკლდება და სიცოცხლე უმოკლდება. დასავლეთში და განსაკუთრებით ამერიკაში უმუშევარი გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფება,—ვიდრე საბჭოთა წარმოებაში მომუშავე.

დასავლეთში წარმოების განვითარება ყოფილა ხელოვნური ფაქტორებით შექმნილი, მისი ძირითადი კაპიტალის განახლება—საგარეო ეკონომიური ექსპანსიით—ე. ი. კოლონიალური პოლიტიკის გატარებით და ამ გარემოებას არ შეუძლია დაიცვას მეურნეობის განვითარების კანონ-ზომიერებანი. ეს საბუთი ყურით მოთრეულია და ყალბია. ომის გათა-

ვების შემდეგ დასავლეთმა მოახდინა ჯარების დემობილიზაცია. თუ ის იძულებული შეიქნა თავდაცვის ორგანოები შეექნა და შეიარაღებისთვის ეზრუნვა—ეს გამოიწვია სწორედ მოსკოვის მტაცებლურმა პოლიტიკამ როგორც ცენტრალურ ევროპაში ისე საერთოთ მისმა ზრახვებმა და აგრესიულ მიზნებმა აფრიკა-აზიის ქვეყნების მიმართ. თავდაცვისთვის ზრუნვა თავისუფალ ქვეყნების ბიუჯეტს ამძიმებს და აქედან გამოწვეული შედეგები მძიმეთ აწვება მათ ეკონომიურ განვითარების გზებს...

ცხადია ეკონომიური კრიზისები ამით არ ამოიწურება, თუმცა ომისგან გაჩანაგებულ თავისუფალ ქვეყნების ეკონომიკამ შესძლო მცხოვრებთა კეთილდღეობა შედარებით ნორმალურ ვითარებაში ჩაეყენებია, მაგრამ «მეცნიერის» აზრით დასავლეთის მრეწველობის აღმავლობა ხდება მუშათა კლასის ექსპლოატაციით—ესაა მხოლოდ ერთად ერთი წყარო მისი არსებობის. ის ვერ ბედავს ამხილოს, ან ვერ ბედავს თუ საბჭოთა ქვეყანაში რა საშვალებით ხდება ინდუსტრალიზაცია. გავარკვიოთ. მათი გაბატონების პირველ დღესვე ბოლშევიკების წინიშე დაისვა საკითხი კაპიტალის განახლების, მეფის ვალების გამო მათ ვერ შესძლეს უცხო კაპიტალის მიზიდვა. კონცესიების გაცემაც უცხოელებზე შეუძლევლი შეიქნა—რადგან საბჭოთა სოციალური კანონმდებლობა ადრთხოვდა უცხო მრეწველებს. საბჭოთა სახემწიფომ მიმართა საგანგებო საშვალებებს ის გადავიდა ადმინისტრაციულ ზომებზე. გლვხთა პირდაპირი ექსპლოატაცია, კოლონიების გაძარცვა, შრომის დაპყრობა. ერთი სიტყვით პოლიციური დონისძიებანი, რომელიც ახასიათებდა მე-17 და მე-18 საუკუნეებში კაპიტალისტურ საზოგადოების გარდამავალ ხანას, უმთავრესათ მაშინდელ კოლონიალურ პოლიტიკას. მაგრამ ეს საშვალებები არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუდმივი და გამოუღვევი. უნდა გამოჩნხულიყო უფრო საიმედო წყარო, ასეთად აღიარებულ იქნა მუშის შრომა, მოძრავი კაპიტალი. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ რუსეთში იგი ბევრი მოიპოვება და მისი მოხმარა პოლიციური ზომებით გააღვიღებულია.

«მეცნიერის» მიერ შეჩვენებულ დასავლეთში წარმოების ზრდის მთავარი სიმძიმე გადატანილია მუდმივ კაპიტალზე—ხოლო მცირე სამუშაო ძალაზე.

აქედან მომდინარეობს ორი სხვადასხვა შედეგი. ერთის მხრავ სიძვირე დამზადებულ საქონლის—მისი სიცოტავის გამო—რასაც ჩვენ ვხედავთ საბჭოეთში და აქედან გამოკვების სიღარიბე. დასავლეთის ქვეყნებში კი სიუხვე პირველ მომხმარებელ საგნების და შედარებით სიაფე. საბჭოთა მრეწველობა ლებულობს ზედმეტ თანხებს არა სამრეწველო დარგების სიმდიდრის დაგროვებისგან, არა საქონლს მასსიურად დამზადებიდან და იათად გაყიდვისგან, არამედ კომერციულ

მოგებიდან.—იაფი საქონლის ძვირად გაყიდვისგან—და აქედან ცხადია უმწეო მდგომარეობა მშრომელი მასსების. საქართველოში მოვლინებული ბ. სელენიევი თითქოს სწუხს, რომ ამერიკის მრეწველობის ზრდა უმნიშვნელო პროცენტებში გამოიხატება და მოჰყავს საამისო ციფრები. რომ ეს მართალი იყოს რუსეთი მართლაც დაეწევა და გაასწრებს ამერიკას. მაგრამ ამასაც გაუსინჯოთ კბილები: ამერიკის ეკონომიურ ასოციაციისთვის ცნობილ პროფ. ნა ტენს წარუდგენია საბჭოთა რუსეთის და ამერიკის მრეწველობის შედარება (იხ. «აქტივ ეკონომიკ» 1958 წ.), სადაც ნათლად სჩანს, თუ რა პროპორციულ ვითარებაშია ამ ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობა.

პროფესორი ჯამს უკეთებს სხვადასხვა სამრეწველო დარგების განვითარებას და ციფრებში გამოჰყავს თუ რანდენი წლით არის რუსეთი ამერიკასთან დაშორებული. რუსეთის 1913 წლის სამრეწველო პროდუქცია უდრის 1883 წლის სამრეწველო ნაყოფს, ხოლო 1955 წლის იმავე რუსეთის მრეწველობა ამერიკის 1921 წლისას. ამგვარად ომამდე რუსეთი ჩამორჩენილი ყოფილა 28 წლის მანძილით. ხოლო მეორე ომის შემდეგ ნაყოფიერების მანძილი კიდევ გაზრდილა და ასულა 34 წლამდე. პროფესორის მიერ ჩამოთვლილია მრავალი დარგები მრეწველობის, რომლის ჩამორჩენა 25—30 წლის მანძილს უდრის.

თუ იმავე პერიოდში ინდუსტრიალიზაცია ტარდებოდა სტალინის სისხლიან დიქტატურის ქვეშ მასსების დამშვივითა და საშინელი რეპრესიებით,—გარდა სამხედრო იარაღების დამზადებისა—არ მოსჩანს პირველი მოხმარების საგნების დამზადების არა თუ სიუხვე—მინიმალური დამკაყოფილება მცხოვრებთა მოთხოვნების. მაშ ასე ბ-ნი სელენიევი და სხვები რყუილებით უმასპინძლებიან ქართველ მკითხველთ, გვაქვს სრული საბუთი ვიფიქროთ, რომ ქართველთა გულს არ ეკარება მათი ტრაბახი და თავისუფალი ქვეყნების გაწბილება.

## 2. საბჭოთა ადამიანის გეთილდღეობა.

საბჭოთა პრესა თუ ერთ ადგილას მიღწევებზე და გაბედნიერებაზე ყვირილით თავს უბრუნებს მკითხველთ, მეორე ადგილას მას უსათუოდ სჭირდება საბჭოთა მეურნეობის უმწეო მდგომარეობის მიზეზები ადგილობრივ მოხელეებს გადაბრალოს, დიქტატურისგან შექმნილი ეკონომიური პოლიტიკის სისტემა დაიკვას, უცოდველად და შეუცდომელად გამოაცხადოს. «კომუნისტი» (16 აპრილის № 87).

სასტიკად თავზე ეხსმის ადგილობრივ სოფლის ორგანიზაციებს, რომლებიც ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას და ვერ მოუსპიათ დაუდევრობა. გულგრილობა, უგულვებლყოფა; ყველა ეს კი აფერხებს შრომის ნაყოფიერებას. ღრება სა-

ხელმწიფოს მოტყუილება, «ბლეფი», ბევრი დრო შიაკებს ფორმალისტს, უნაყოფო ხმაურს და მოჩვენებითობას. ასეთი მოჩვენებითი სურათებით რასაც «კომუნისტი» საყვედურობს—აჭრელებულია თვით «კომუნისტი»-ს ფურცლები. ჩასურათებულია მეცხვარე, მელორე, მეძროხე, ყველანი გახარებული არიან, ყველანი ილიმებიან, რომელთა შრომის ნაყოფი გაბერილ-გაზრდილია—დამახასიათებელია საბჭოთა ეკონომიკის, მაგრამ თვით საბჭოთა პრესის აღსარებით ყველა ეს მოჩვენებითია—ვინემ რეალური...

გავეყვით მაგალითების მოყვანას. «კომუნისტი»-ს № 78 აღნიშნულია ის დიდი პასიურობა, რასაც ადგილობრივად იჩენენ კოლმეურნეები. ასეთია სიღნაღის, საბტრედიის, ლანჩხუთის, ახალ-ქალაქის, მცხეთის და სხვა კოლმეურნობანი, რომლებიც არავითარ აქტიურობას არ იჩენენ, და დანაკვეთს არ ასრულებენ,—სოფლის მეურნეობის არც ერთ დარგში. რატომ?... საქართველოს გლეხობას, ჩაუვდილს საკოლმეურნო სისტემაში წართმეული აქვს ყოველგვარი ხალისი—შეასრულოს ზევიდან მოცემული დანაკვეთები. სურათი რომელსაც იძლევა «კომუნისტის» ფურცლები—მართალია დროგამოშვებით. ფრიად დამახასიათებელია და ბევრის მოქმედი. გლეხობისგან მოითხოვენ, რათა მან გაიღოს უკანასკნელი ენერჯია, გულმოდგინეთ და უკლებლად შეასრულოს ხრუშჩევისგან ნაბრძანები შვიდწლეულის გეგმა.

როგორც ვხედავთ სოფლის მშრომელთა გულს არ ეკარება პირფეროვანი დაპირებები,—ის კარგად ხედავს რომ მისი ოფლით ნაშრომი მოსკოვის ვეებერთელა აპარატის გამოკვებას უნდება. მას რჩება მიოლოდ ნამცეცები. ხოლო ჩაი, ციტრუსოვანი და სხვა საექსპორტო საქონელი მოსკოვის ხაზინის გამდიდრებას. აქვე უნდა დაუმატოთ, რომ გულგრილობა და პასიურობა გადასდებია თვით კომ—აგიტატორებს (იხ. «კომ.» № 117, რომელთა შესახებ «კომუნისტი» სჩივის და მათ თავს ესხმის. ამათი ბრალი ყოფილა, თუ კოლმეურნეობები ადგილობრივად ვერ ასრულებენ დანაკვეთებს. იჩენენ უგულებელყოფას და მავნებლობასაც, როგორც არის მიწის დაუმუშავებლობა და სახელმწიფოსთვის შრომის ნაყოფის ჩაუბარებლობა. ისინი საკმაოდ პროპაგანდას და აგიტაციას ვერ ეწევიან ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, ყურძნის საკრეფში, მეცხვარეთა და საერთო პირუტყვთა გამრავლების საქმიანობაში და სხვა მრავალ სასოფლო მეურნეობის დარგში. ეს საერთო დაავადება აიძულებს საბჭოთა პრესას—გააფრებულნი აგიტაცია აწარმოოს შრომის სადიდებლად.—მის სათანადოთ სიმალეზე ასაყვანად.

### 3. შ რ ღ მ ა.

«შრომა არის წყარო სიმდიდრის, შვებისა და ბედნიერების, შრომა ხალისის გერის ადამიანს, ასპეტაკებს მის სულსა და გულს, შრომა ქმნის სულიერ საგანძურს, ამალღებს ადამიანის ღირსებას,—ასეთი და მრავალი სხვა ღოზუნგები ცხვება საბჭოთა სააგიტაციო ლაბორატორიაში. შრომის იდეალიზაცია—ერთი უდიდესი თემატიკაა საბჭოთა მწერლობის. მისი დანიშნულების და ამოცანის. იგი ხდება მუდმივი ზრუნვის საგანი—უმალღეს ხელისუფლებისგან დაწყებული უკანასკნელ «კომიაჩეკით» გათავებული. ხალისიანი შრომა ქმნის შრომის გმირებს საუკეთესო ადამიანებს, მათთვის არ არსებობს ფიქრი დასვენებაზე, შრომის გაუმჯობესებაზე, არამედ მოცემულ ნორმის და დანაკვეთების ზედმეტ პროცენტებით შესრულებაზე—რათა დაიმსახურონ ხელისუფლების ყურადღება და უკანასკნელიც ხომ მათ ასურათებს გაზეთის ფურცლებზე. მათგან მოითხოვენ გაასკეცებულ ენერგიის ვალებას, ზედმეტი საათებით მუშაობას, მათ წართმეული აქვთ უფლება შრომის პირობებზე,—აზრი გამოთქვან,—ეს იქნებოდა შრომის დისციპლინის დარღვევა, რაც კონსტიტუციით დაკანონებულია, ეს აუცილებელი შეიქნა ხუთწლედების შესრულებისთვის. საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი გამოგონებაა «პარტია გვეძახის» და აი ახალგაზდობა პარტიის მოწოდებაზე სტოვებს თავის მშობლიურ კერას, კარ-მიდამოს, დედ-მამას, ნაცნობ-მეგობრებს, სადაც უცხო მხარეში ფიზიკურ მძიმე-აუტანელ ფიზიკურ შრომის გასაწევად მიემგზავრება.

ჩვენ წინ დევს «კომსომოლსკაია პრავდა» (28 11-58), როლის ცინიკური შენიშვნები აშკარა ამორალურია: «რა საზიზღარი შეხედულება აქვთ ბედნიერებაზე, როცა იღწვიან თავი დაიწინაურონ, საზოგადოებაში გამოჩნდენ—ეს რაღაც ბურჟუაზიული ავადმყოფობაა,—საბჭოთა ახალგაზდობის ბედნიერება—შრომაშია, და აქედან უმთავრესი ჩვენი ძალღონე მივცეთ სახელმწიფოს აყვავებას—უფრო მეტი ვინემ გუშინ—ხვალ კიდევ მეტი, ვინემ დღეს».

მაშ ასე შრომა რასაკვირელია,—საგანძურია მაგრამ საბჭოეთში იგი ცოცხალი და დასაყრდნობი კაპიტალია სახელმწიფოს ხელში, სკუთარ ბატონობის უზრუნველსაყოფად, მისი პატრონი ე. ი. მშრომელი თავისუფალ-დემოკრატიულ ქვეყნებში კანონით დაცული და პატივდებული საბჭოთა მხარეში კი კანონით დაბმული და მუხრუქებში ჩაუქდილი.

ბ. ს.

## ბათა განათავისუფლებულ ლიგის კონფერენცია.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ამა წლის ივლისში მიიღო ვრცელი რეზოლიუცია, რომელშიდაც ის თანაგრძობას უცხადებს საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ ერებს, რომლებიც გახდენ მსხვერპლნი საბჭოთა კომუნიზმის აგრესიისა. მათ სამართლიან მისწრაფებას თავისუფლებისა და ნაციონალურ დამოუკიდებლობისა მიესალმება რა კონგრესი,—მიმართავს პრეზიდენტს და უფლებას ანიჭებს —გამოსცეს სათანადო პროკლამაცია, რომლითაც დაწესებული იქნება «ტყვეობაში მყოფ ერთა კვირა». —აღნიშნულ რეზოლიუციაში დასახელებულია საბჭოთა კავშირის სხვა ერებთან ერთად, ცხადია; საქართველოც.

ქვემოთ მოგვყავს ტექსტი პრეზიდენტის პროკლამაციისა და ლიგის კონფერენციის დეკლარაცია ამის გამო.

«ტყვეობაში მყოფ ერთა კვირა»

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მიერ დაწესებული

პროკლამაცია:

იმ დროს, როცა მრავალი ერი ქვეყნიერებაზე ტყვეობაში ჩაეგარდა საბჭოთა კომუნიზმის იმპერიალისტურ და აგრესიულ პოლიტიკით; იმ დროს, როცა საბჭოთა მიერ დამორჩილებული ერები მოკლებულნი ნაციონალურ დამოუკიდებლობას და პიროვნულ თავისუფლებას; იმ დროს, როცა ამერიკის შეერთებულ შტატების მოქალაქენი გადაბმული არიან ოჯახური კავშირით და პრინციპებით ყველა კონტინენტზე იმათთან ვისაც უყვარს თავისუფლება და სამართლიანობა; ვინაიდან მიზანშეწონილია და სასურველი გამოცხადოს თანაგრძობა ამერიკის შეერთებულ შტატების ხალხისა და მთავრობის მხრივ ტყვეობაში მყოფ ერებს მათ სამართლიან მისწრაფებანი თავისუფლებისა და ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, ვინაიდან, კონგრესი 17 ივლისს 1959 წ. მიღებულ და და მტკიცებულ რეზოლიუციით უფლებას ანიჭებს და სთხოვს ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს გამოსცეს მოწოდება, რომლითაც ივლისის მესამე კვირა გამოცხადდება «ტყვეობაში მყოფ ერთა კვირათ», და განიმეოროს ასეთივე პროკლამაციით მიმართვა ყოველ წლიურად, სანამ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას არ მოიპოვენ და მონებულნი ერები მსოფლიოში.

ამრიგათ, მე დ. აეიზენაუერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვაცხადებ კვირას, რომელიც იწყება 19 ივლისს «ტყვეობაში მყოფ ერთა კვირათ».

მე მოუწოდებ ამერ. შეერთ. შტატების მცხოვრებლებს, რათა ეს კვირა ჩაატარონ შესატყვისი მანიფესტაციებით; მე ვთხოვ მათ გაეცნონ საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ მყოფ ერ-

თა მდგომარეობას და დაიცვან მათი სამართლიანი მისწრაფებანი.

ზემოხსენებულის დასამტკიცებლათ ვაწერ ხელს და ვუბრძანე ამერ. შვერ. შტატების ბეჟდის დასმა.

ქალაქი ვაშინგტონი 17.7.1959.

ამ. შერ. შ—ბის დამოუკიდებლობის მე-184 წლის თავზე.  
ხელს აწერს: აისენაუერი.

### მ ქ ლ ა რ ა ც ი ა

მიღებული «ხანკოთა კავშირის ერთა განთავისუფლებების ლიგის» მიერ წლიურ კონფერენციაზე, რომელხანგ საქონდა აივლილი მიქნსენში მიმდინარე წლის ივლისის 29—30 რიონხვეშში.

უკანასკნელი 40 წლის მანძილზე აღმოსავლეთით წამოიქიმა უხარმანარი კოლონიალური სახელმწიფო—საბჭოთა კავშირის სახით, რომელიც, ემუქრება რა განადგურებით დასავლეთის ცივილიზაციას, მისწრაფვის მსოფლიოს მთლიანთ დაპყრობისკენ. დაეა და დაპირისპირება ბერლინის გარშენო მოსკოვის კომუნისტურ დიქტატურისა და თავისუფალ ქვეყნებს შორის, რომლის მოწამენი ჩვენ დღეს ვართ, წარმოდგენს მხოლოდ ერთ ცდას და ეპიზოდს მსოფლიოს გასაბჭოების გზაზე. გუშინ ეს იყო ახლო-აღმოსავლეთი. უფრო ადრე—შორეული აღმოსავლეთი. ორივე შემთხვევაში მოსკოვმა შესძლო ხელსაყრელ პოზიციის ჩადება შემდგომი წინ წაწევისათვის. შესძლებს ეწლაც თუ ვერ შესძლებს თავისი გაიტანოს.—ერთი ცხადი უნდა იყოს, რომ დიქტატურას შეჩერება არ შეუძლია და დაეინებით მიიწევს თავის გაჯღენის სფეროს გასაფართოვებლათ. დღეს, საბჭოთა პოლიტიკისა და სტრატეგიის გამომსახავი მრუდე ხაზი ზევით არის მიმართული და ეს აღმასვლა გრძელდება, რაც, სანამ კიდევ გვიანი არ არის, უნდა შეჩერებულ იქმნას. ეს კი შეუძლია მხოლოდ დასავლეთის მტკიცე გადაწყვეტილებას თავისი უდრეკი ნებისყოფით და შესატყვისი საშვალდებით წინააღმდეგს საბჭოთა იმპერიის კონსოლიდაციას და ექსპანსიას. დღითიდღე ხომ აშკარა ხდება, რომ თავისუფალი ქვეყნიერება სდგას ერთი დილემის წინ: ან ძალით იქნას მოქცეული საბჭოთა იმპერიის ორბიტაში. რაც მოასწავებს დასავლეთის ცივილიზაციის აღსასრულს: ან და მთელი ენერგიით გადაეღობოს წინ აღმოსავლეთიდან მოწოლილ კომუნისტურ ტირანიას და მით გადაარჩინოს კაცობრიობა და ცივილიზაცია განადგურებისაგან. ასეთ ჯვაროსნულ ნებისყოფის ცოცხალ და მორალურათ დასაყრდნობ წერტილებათ დასავლეთმა უნდა იგულოს საბჭოთა იმპერიაში მოქცეული ერები.

დასავლეთი დიდი ხანია ყოყმანობდა და დღესაც ვერ ამხელს, აშკარათ ვერ აცხადებს ამ ერთა უფლებას თვით განაგოს თავისი ბედი, უფლებას სუვერენობაზე, უფლებას და-

ლით მოტაცებულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაზე.

ისტორიულ და უფლებბრივ თვალსაზრისით ჩვენი ერების მდგომარეობა ისახება შემდეგნაირათ: მეფის რუსეთის იმპერია, როგორც სხვა იმპერიებიც წარსულში, შეიქმნა დაპყრობის გზით. ამ იმპერიაში მონწყვეთელი ერები, ერები, რომელნიც ნაგულისხმევი არიან პრეზიდენტ აიხენჰაუერის 17 ივლისის, უკვე ცნობილ პროკლამაციაში. დაპყრობილი იყვნენ უცხო ძალის მიერ—მეფის რუსეთისგან; 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოშორდნენ, გამოეყვნენ საბჭოთა რუსეთს და შექმნეს საკუთარი, დემოკრატიული სახელმწიფოები. საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით, ხდება ამ ერთა ინტერნაციონალური სახეობის, პიროვნების აღდგენა. ეს სახელმწიფოები ცნობილი იქმნენ სხვა, უკვე არსებულ სახელმწიფოთა მიერ დე ფაქტო და დე იურეთ. ხოგიერთ მათგანს სცნობს თვით საბჭოთა რუსეთი. მაგრამ ისინი, სხვადასხვა დროს, მიუხედავთ მათი თავგანწირული წინააღმდეგობისა, ხელშეორეთ დაპყრობილი იქმნენ. ამრიგათ, დაშლილი და დარღვეული იმპერია ცეცხლით და მახვილით აღადგინეს.

მაშასადამე, საერთაშორისო უფლების მიხედვით, მდგომარეობა აღმოსავლეთით შემდეგნაირათ დახასიათდება: ე. წ. ნაციონალურ-ფედერატიული და ავტონომიური რესპუბლიკები, რომელნიც წინეთ იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. უცხო სახელმწიფოს—საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებიან. ამ ერთა საკითხი, პრობლემა არის პირველყოვლისა ინტერნაციონალური პრობლემა, რომლის გადაჭრა გულისხმობს ოკუპაციის მოხსნას და უცხო ბატონობისაგან განთავისუფლებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ერები დღესაც, საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით (13—18 მუხლები) ფორმალურათ სახელმწიფოებრივი სუვერენობის მატარებელი არიან!—დემოკრატიული პრინციპები, რომლითაც ისახლეობდა და მომართულია ცხოვრება ცივილიზაციის მებარალტრე ქვეყნებში ამ უკანასკნელათ უკარნახებს უდაოთ სცნონ ტყვეობაში მყოფ ერთა უფლება სუვერენობისა, უდღება მოტაცებულ თავისუფლების და დამოუკიდებლობის აღდგენისა!

მაგრამ, თუ თავისუფალი კაცობრიობა მომავალშიც არ გაუწევს ანგარიშს ისტორიულ ფაქტებს საერთაშორისო უფლების ნორმებთან ერთად და მით შესხვერულათ შესწირავს თვით ფუძეს თავის ცივილიზაციისა ე. წ. «მშვიდობიან თანაარსებობის» მცდარ და იბრეალურ იდეას, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს პერმანენტულ გაორებას; თუ ეს კაცობრიობა საზრდოობს რა მანერ ილლიუზიებით, იფიქრებს, რომ ორას მილიონიან ტყვე ერთა განწირვით კომუნისტურ მოლოხის დასაკმაყოფილებლათ საბჭოთა დესპოტიიდან გამოითხოვს გარანტიას დანარჩენი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ის ამ საბედისწერო შეცდო-

მით თავის საკუთარ თავს მოუშადადებს საბოლოო დანგრევას და დაღუპვას.

ჩვენ ვფიქრობდით მუდამ და ვამბობდით კიდევაც, და მხათ ვართ გავიგებოროთ, რომ მოსკოვში მოფიქრებული კონფერენცია «უმალღეს საფეხურზე», ხრუშჩოვის დაუინებოთი ცდა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, ვაშინგტონისკენ გაიხსნას გზა და შესდგას ფეხი შეერთებულ შტატების თავისუფალ მიწაზე, რომელიც ჯერ არც ერთ დიქტატორს და ტირანს არ მოსწრებია,—განხრახებით, რომ შეერთებ. შტატების პრეზიდენტთან შეხვედრა «ორ დიდთა კონფერენციით» გადააქციოს,—ეს მოვლენა სულიერ აღრევას გამოიწვევს კაცობრიობის თავისუფალ სექტორში; ფარდის იქეთ კი—ჩვენს ერებში და მთელ საბჭოთა იმპერიაში—ჩუმნი პროტესტი და მწარეთ გაცრუებული იმედი იქნება ხალხის რეაქცია.

პრეზიდენტ აიხენაუერის ზემოთ მოხსენებული პროკლამაცია ფრიად საყურადღებო მოვლენათ უნდა ჩაითვალას; ჩვენ ღრმა იმედს გამოვსთქვამთ, რომ ის განდება დასაბაში დასავლეთ დემოკრატიის პოლიტიკის ახლათ მომართვისა, რომელიც გულისხმობს, რომ ამიერიდან მოსკოვის შეუჩერებელ იმპერიალისტურ ექსპანსიის პოლიტიკას დაუპირისპირდება პოლიტიკა, რომელიც ჩაგრულ ერთა განთავისუფლების პრინციპს უნდა ეყრდნობოდეს.—ის ცხარე რეაქცია აღმოფოთება, რომლითაც შეხვდა ამ დეკლარაციას ხრუშჩოვი, მოწმობს, თუ რა მძლავრ იარაღათ შეიძლება იქცეს ეს მართლაც და წმინდა, ეპოქალური იდეია: ის იძლევა უებარ საშვალებას საბოლოოთ ავხადოთ ნილაბი ამ ქვეყნათ უკანასკნელ კოლონიალურ იმპერიის მესვეურთ, რომელნიც თვალთმაქცური პირმოთნეობით ცდილობენ მოაჩვენონ თავი ყველა კოლონიალურ და ჩაგრულ ერთა განთავისუფლების ფალავანდებათ.

თავის მორიგ წლიურ კონფერენციაზე, რომელიც შესდგა მიუნხენში 1959 წ. ივლისის 29—30 რიცხვებში, «საბჭოთა კავშირის ერთა განმათავისუფლებელი ლიგა», იმ ერთა, რომელნიც საბჭოთა მოსახლეობის ნახევარს აღმეტება, მსურვალეთ ეგებება პრეზიდენტ აიხენაუერის პროკლამაციას და, თავის მხრივ, შემდეგი მოწოდებით მიმართავს თავისუფალ კაცობრიობას: იმ დროს, როცა ბევრი რამ არის თქმული და განმეორებული კოლონიალიზმზე. კულტურულ კაცობრიობას უნდა ახსოვდეს, რომ რკინის ფარდის იქით—ტყვეობაში მომწყვდეული ერები—ჰგმინავენ უუცბიერესი და უსასტიკესი კოლონიალიზმის უღლის ქვეშ; იმ კოლონიალიზმისა, რომელიც დღეს ევროპის და დასავლეთის კარებზეა მომდგარი და დაბეჯითებით, გაკერპებული შიგ შემოკრისთვის გზას იკადავს. თავისუფალმა ქვეყნიერებამ უნდა უკუ-აგდოს მავნე ილოლუზია «დიქტატურის ევოლიუციისა» და ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს, რომ, საბოლოო ანგარიშში, საბჭოთა ცი-

ხეში მოქცეულ ერთა განთავისუფლება განდება საიმედო თავმდებები მისი საკუთარი თავისუფლებისა და კეთილდღეობის.

ჩვენს დროში, თავისუფლება ერთი და განუყოფელია!

დევ!.. თავისუფალ კაცობრიობას მუდამ ახსოვდეს ჩვენი ერების ტანჯვა-წვალება!

სტალინის მიერ შექმნილი «უფროსი ძმის» კულტი თანდათან ღრმავდება ხრუშჩოვის ბატონობის ქვეშ — ეკონომიური ექსპლუატაცია დაჩაგრული ერების მატულობს, «უმცროსი ძმების» რუსიფიკაცია ყოველ დღე ძლიერდება — მცხოვრებთ სისტემატიური გადასახლება საბჭოთა კავშირის საზღვრებში გრძელდება და პატარა ერებს სავსებით გაქრობას და «საბჭოთა ერში» გათქვეფას უქადის

ამ პირობებში, ერთა-შორისი ურთი-ერთობის გართულება და კრემლის მიერ ნაციონალურ უკმაყოფილებათა გაღვივება, დიდათ აფერხებენ განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ს.ს.რ. კ. ერების განმათავისუფლებელი ღიჯა მოუწოდებს თავის ერებს და ღრმა რწმენას გამოსთქვამს რომ პრეზიდენტ აიხენშაუერის პროკლამაცია რომელიც «ტყვე ერთა კვირის» დაკანონებით, ადასტურებს და ამტკიცებს რა, ამ ერების თავისუფლების დამოუკიდებლობის უფლებებს, მოსმენილი და შეგნებული იქნება ჩვენი თანამემამულეების მიერ. სამშობლოში, როგორც აშკარა გამოხატულება გამხნეების და თანაგრძობის. ჩვენ სანეტარო იმედებში და თავისუფალ მომავლის რწმენაში და როგორც მოწოდება დინჯ და შეურყეველ რწმენისკენ ნაციონალური სამართლიანობის საბოლოო გამარჯვებაში.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ბრძოლა იქნება აგრეთვე რუსის ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა — რუსის ერი რომელიც იტანჯება ბოლშევიკურ ტირანიის პოლიტიკურ და სოციალურ უსამართლობით და განიცდის საბჭოთა რეჟიმის სიმძიმეს, თავისუფლების დაკარგვით და გაქვირებით იქნის კრემლის დამქაშების შეშლილ იმპერიალისტურ პოლიტიკის საფასურს — ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ გადამწყვეტ მომენტში რუსის ერი, გაპყვება თავის საუკეთესო შვილების მაგალითს, აირჩევს ერთად-ერთ, მის ეროვნულ ღირსებასთან შესაფერისს ხზას და ჩაებმევა საბჭოთა კავშირის ტყვე ერებთან ერთად საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ჩვენმა ერებმა უკვე ღირსეული ადგილი დაიკავეს ამ ბრძოლაში და მრავალჯერ დაამტკიცეს, მათი ურყევი ნებისყოფა დამოუკიდებლობის, დემოკრატიის და თავისუფლებისკენ მიმართული.

ის მორალური გამხნეება და თავისუფალ ქვეყნიერების თანაგრძობა, საბჭოთა კავშირის ტყვე ერების მიმართ, რომლის მჭერმეტყველი მანიფესტაცია არის ოკეანეს გაღმა მდებარე დიდი დემოკრატიის პრეზიდენტის კეთილშობილი ხმა, ეს ნამდვილი «იმედის ქარტია» მთელ მსოფლიოსთვის, გახდება საბოლოოდ თავდები, ჩვენი ერების წმინდა მისწრაფებათა განხორციელების.

### მ ი მ ა რ თ ვ ა

«ხაბჭლთა კავშირის ერთა განმანათავისუფლებელი ლიგა»-სი  
«გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას».

ამა წლის 9 სექტემბრის თარიღით ხრუშჩოვის ვიზიტის  
წინ «O.N.U.»-ში «ლიგამ» მიმართა უკანასკნელს შემდეგი გან-  
ცხადებით:

«იმ დროს, როდესაც ხრუშჩოვი, განახორციელებს რა  
თავის დიდი ხნის ოცნებას, სდგამს ფეხს თავისუფლების მი-  
წაზე, რომელიც დღემდის აღკვეთილი იყო ტირანთა და დიქ-  
ტატორთათვის, და ემზადება რა მშვიდობის მყოფელ-მოყვარ-  
ულის სამოსელში გახვეული წარსდგეს «გაერთიანებულ  
ერების გენერალურ კრების» წინაშე, — «საბჭოთა კავშირის  
ერთა განმანათავისუფლებელი ლიგა» თავის უწმიდეს მოვალე-  
ობათ სთვლის განაცხადოს შემდეგი: ხრუშჩოვის მიერ ამ პი-  
რობებში თავისუფლებისა და მშვიდობიანობის ტაძრის ბუის  
გადალახვა, «O.N.U.»-ს სასახლის კარის შეღება, რომელიც  
მოწოდებულია თავისი ქარტიითა და კონსტიტუციით დაცუ-  
ვას თავისუფლება და ღირსება ადამიანისა, იდგეს სადარა-  
ჯოზე ერთა უშიშროებისა, თავისუფლების და დამოუკიდე-  
ბლობისა ყველა კონტინენტზე, ეს აქტი იქნებოდა ამ მაღალი  
დაწესებულების შემბლაღვი, რის პრეცედენტი მის ისტო-  
რიაში არ მოიპოვება.

კომუნისტი-უზურპატორი მოსკოვიდან გაბედავს ილა-  
პარაკოს საბჭოთა იმპერიალიზმის მსხვერპლ-ერთა სახელით,  
იმ დროს, როცა ეს ერები ძალითა და ტერორით დადუმებუ-  
ლნი არიან ამიტომ «ლიგა» მიმართავს «გაერთიანებულ ერ-  
ების ორგანიზაციას» და მთელ თავისუფალ კაცობრიობას მო-  
წოდებით: კრემლის დიქტატორს შეუძლია და ის ვალდებუ-  
ლიც არის წარსდგეს გაერთიანებულ ერების არეოპაგის წი-  
ნაშე, მხოლოდ, როგორც დამნაშავე და ბრალდებულნი, რო-  
მელსაც უმძიმესი პასუხისმგებლობა და ბრალდება აწევს სა-  
ბჭოთა კავშირში და იმპერიაში ძალით მოქცეულ ერების  
მიმართ, ბრალდება, რომელიც გულისხმობს ამ ერთა გაუგო-  
ნარ კოლონიალურ ჩაგვრასა და განადგურებას.

მეორე მხრივ, თუ ხეშოთ აღნიშნული მეტად სანწუხარო  
მანიფესტაცია ნაკარანახევია მსოფლიო საზოგადოებრივი აზ-  
რის მიერ, რომელიც შეპყრობილია სრულიათ ბუნებრივი  
წყურვილით ზავისა და მშვიდობიანობის, — მაშინ «ლიგა» გა-  
ბედავს გააფრთხილოს და მიუთითოს ამ საზოგადოებრივი  
აზრს და გაერთიანებულ ერების ორგანიზაციას იმ მაგნილი-  
ლიუზიჩაზე, რომლის საკურთხეველზე ერთხელ კიდევ მიტანი-  
ლი იქნება უდიდესი ღირებულებების მორალური მსხვერპლი.  
თავისუფალი ქვეყანა ერთხელ კიდევ მიიღებს, მნიშვნე-

კვეთილს, რომლის შედეგი იქნება აგრეთვე იმედების და რწმენის გაცრუება ფარდის იქეთ მყოფ ერთა შორის.

ამრიგადა, «რეჟეობაში მყოფ ერთა სამართლიან მისწრაფებათა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ მიმართულ მხარის დაქუერის ნაცვლათ, ამ აქტით თვით რწმენა თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩვენს ერებში საგრძნობლათ შეირყევა და მოიშლება!

## სოციალისტური ინტერნაციონალის

### კ ო ნ გ რ ა მ ს ი .

ჰამბურგის კონგრესი იყო სოციალისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ის განახლებული სახით აღსდგა. მეტად დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობა, რომელშიაც ის გაიხსნა 14 ივლისს, მთელ მის მუშაობას თავის დაღს ასვამდა. მაგრამ ინტერნაციონალის კონგრესი ამ მდგომარეობაში წაშორდა პარტულემებს კი არ შეუშინდა, არამედ, პირიქით, მთელი ენერჯით და უდიდესი გაბედულებით შეუდგა მათზე პასუხის გაცემას. ეს ნათლად ჩანდა თვით კონგრესისადმი მიმართულ მისახლმებელ სიტყვებში; უპირველესად ინტერნაციონალის თავმჯდომარის, დანიელ სოციალისტის ალსინგ ანდერსენის ვრცელ სიტყვაში. ანდერსენი ცნობილია თავისი კაპიტალური შრომით უნგრეთის რევოლუციის შესახებ, რომელიც მან გაერთიანებული ორგანიზაციის დავალებით დაწერა. მან პირველი სიტყვებიდანვე ხელი ჩასჭიდა ადამიანის და ერის თავისუფლების საკითხს და ღრმად დასაბუთებული სპარაღმდებლო ოქმი წაუკითხა ყოველგვარ ტოტალიტარულ, რეაქციულსა და იმპერიალისტურ რეჟიმს, უპირველესად თანამედროვე კაცობრიობის უდიდეს სენს და საფრთხეს—კომუნისტს. ადეე, პიტლერის ბედი, რომელმაც 70 წლის წინათ კაცობრიობა საშინელი ომის ცეცხლში გახვია, გაფრთხილება იყოს ყველა იმათთვის, ვინც ოცნებობს ერების დამონებაზე ტერორის და ძალადობის საშუალებითო,—განაცხადა ანდერსენმა მთელი კონგრესის ტაშის გრილის ქვეშ. ანდერსენი განსაკუთრებით მიესალმა ბერლინის მოსახლეობას და კონგრესის დარბაზში მყოფ ყველა ჩაგრული ერის წარმომადგენლებს.

კონგრესზე ბლომად ინენენ ევროპის და აზიის ჩაგრული ერთა წარმომადგენლები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კომუნისტური იმპერიალიზმი ყველა ერისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ასეთივე აზრები იქნა კიდევ უფრო ხაზგასმით გამოთქმული და დასაბუთებული კონგრესზე წაკითხულ უმთავრეს მოხსენებებში, უპირველესად ავსტრიელი სოციალისტის, ისკარ პოლაკის ვრცელ მოხსენებაში დემოკრატიული სოციალიზმის შესახებ.

ისკარ პოლაკმა მოიგონა, რომ სწორედ 170 წლის წინათ, 1789 წლის 14 ივლისს აღებულ იქნა ბასტილია თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხის მიერ, და დასძინა:

«იმ რევოლუციონერების მემკვიდრეები ჩვენ ვართ და არა კომუნისტები, რომლებმაც ახალი ბასტილიები ააგეს».

«ჩვენს დროში აწერია,— განაცხადა პოლაკმა,— თავისუფლება ადამიანის და ერის, ხალხის კეთილდღეობა, ერთა შორის მშვიდობა და ღრმა ჰუმანიზმი; შეუთრგებელი ბრძოლა ყოველგვარი ჩაგვრის, ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, და ყოველივე ამით ჩვენსა და კომუნისტებს შორის გარდაუვალი უფსკრულია გათხრილი».

კონგრესზე გულდასმით იქნა განხილული ახლო აღმოსავლეთის პრობლემა და ეკონომიურად ჩამორჩენილ ერთა საკითხები. დადგენილ იქნა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები მათ დასახმარებლად და გასათავისუფლებლად, ისე რომ ისინი არ გახდნენ კომუნისტური იმპერიალიზმის მსხვერპლნი. ყველა საკითხი განხილულ იქნა აზრისა და კრიტიკის სრული თავისუფლების ატმოსფეროში. მაგალითად, ინგლისის მორადიკალო დელეგატმა ბივენმა გააკრიტიკა დასავლეთის სახელმწიფოები და ზოგი სოციალისტური პირტიაც ახლო აღმოსავლეთში წარმოებული კოლონიალური პოლიტიკის საკითხებში. ისრაელის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა შარეტმა თავის მხრით უპასუხა: «არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა კავშირი ხელს აფათურებს უცხო სახელმწიფოთა საქმეებში და იარაღს და «ტექნიკურ ექსპერტებს» უგზავნის ზოგ არაბულ ქვეყნებს, საკუთარი იმპერიალისტური და კოლონიალური მიზნების მისაღწევად».

კონგრესის სხდომები დამთავრდა 17 ივლისს მეტად საქმიან და სოლიდარულ ატმოსფეროში, რომელიც ერთთავად მიმართული იყო კომუნისტურ-ფაშისტური რეაქციისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

კონგრესის გახსნის წინა დღეებში ჩატარდა სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია და შუა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალდემოკრატიული პარტიების ემიგრაციაში მყოფ წარმომადგენლების კონფერენცია. ორივე კონფერენციებზე პირველი ადგილი ეჭირა კომუნისტურ დიქტატურის, საერთოდ ტოტალიტარიზმის, რეაქციის და იმპერიალიზმის საკითხების განხილვას. გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუციები.

სოციალისტურ კონგრესს პამბურგში დაესწრო ჩვენი პარტიის წარმომადგენელი, რომელმაც ჩაატარა მრავალმხრივად სასარგებლო მუშაობა. მანვე გადასცა— რადიო სადგურ «თავისუფლება»-ში კონგრესის მუშაობის ანგარიში— რომლის წარმომადგენლად ის იყო ამავე დროს წარგზავნილი.

X.

## საით მიდის გაბაშვილი.

რ. გაბაშვილი, ეს თავისებური სპესიმენი «პატრიოტი» სა, რომელიც ყველა გზა-ჯვარედინზე გაკვივის მამულიშვილობაზე და მთელი სიცოცხლე კი აკეთებს ანტიეროვნულ, ანტი-პატრიოტულ საქმეებს; ლტოლვილობაში წარა-მარა ჰქადაგობს ერთობას და შეუძლებლათ კი ხდის ყოველივე საღ გავრთიანებას და თავის მოყრას,—ვინაიდან, წმინდა საგანი და დასაბამი ერთობისა,—ერის საუნჯე—მისგან სისტემატიურათიბილწება, იჯიჯგნება მტრის გასახარებლათ. ამ უცნაურათ მოუხსენარ და სოციალურათ მავნე და დაუნდობელი ადამიანის ყოველი სიტყვა და წინადადება, თქმული ან დაწერილი, დაძარღვეულია ადამიანისადმი სიძულვილით, ღვარძლით და შინამით, რასაც ის მუდამ უამს მიჰყავს უმსგავსო ცილისწამებამდის. ერთხელ გადმოსროლილ ცილისწამებას რობოტივით ფირფიტაზე ატრიალებს მრავალ წლების მანძილზე. ბოროტი სიტყვით უხვით შემკული, ის მუდამ ცოფიანი ცხოველივით იკბინება... მორალურათ გარიყული, ის ერთგვარი ატაკიზმითაც უნდა იყოს შეპყრობილი, რომლის ძირები ხშირათ შორს უნდა ვეძიოთ. ერთი მათგანი ჩვენ მიგვიყვანს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს ხანაში, როცა ეს «ნაციონალისტი და პატრიოტი» ვერ ეთავსება და ვერ ეთვისება ნორჩ სახელმწიფოს პათოსს და რესპუბლიკის რისხვას და სასჯელს დაიმსახურებს: მშობელი ერი მას გარიყავს და იზოლიაციაში მოაქცევს...

ემიგრაციაში, ისევე მოუსვენარი, პოლიტიკურ მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ცნობილ ქართველთა მოძულე ბამატის «კალთაში» ამოყოფს თავს, რომლის ორგანო რუსული «კავკაზი» საქართველოს ამოიმინუნებს და მის მიწა-წყალს უხვათ არიგებს და მით ჩვენი «პატრიოტი»-ც უდიდეს პასუხისმგებლობას გაიზიარებს.

ესლა, რა უნდა ვთქვათ და რა უნდა ვიფიქროთ ამ ვაქბატონის უკანასკნელ «საგმირო» საქმეზე. ისევე მისთვის ჩვეული, სიბოროტით შემკული უნიჟო პასკვილით გაუმასპინძლდა ერის თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირებს, გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეებს, შეუტაცხყო ერის სიმბოლო, შელანძლა მისი ენა!

პოლიტიკური ლოლიკით და დაუფარავი ზრახვითაც, ეს არის ცდა ხიდის გადებისა «იმათკენ», ვინც თურმე წარმოადგენენ სახელმწიფოებრივათ გაწრთვნილ და გამობრძნედილ ეროვნულ მოღვაწეებს (იგულისხმება ქართულ კომპარტიის აპარატჩიკები, ეს შულავერის მთავრობის სულიერი და უშუალო მემკვიდრენი). რომელთა წინააღმდეგ «წიგნი»-ში ერთი სიტყვაც კი არ მოიპოვება, ცხადია! პირიქით, მარადისეულ საქართველოს სამსხვერპლოზე ქართველი ერის მოლაღატეებს ემიგრაციის ერთობას სთავაზობს!

) იხ. უკანასკნელი გვერდი წიგნისა «დასკვნა».

ჩვენ სრულებითაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხვალ, ერთ-ერთ ნაგულისხმევ «მოღვაწის» წინასიტყვაობით გ—ლის ნაციონალიზმი «შრომა» ფარდის იქით ფართოდ გავრცელდეს. ეს იქნება სამართლიანათ დამსახურებული დაგვირგვინება იმ მორალური და პოლიტიკური დეკადანსისა, რომლის განსახიერებას ვაბ—ლი წარმოადგენს. 40—50 წლის მანძილზე პოლიტიკურ ხეტიალის შემდეგ ის თავის თავს იბოვის და თავის მსგავსთ კარს მიაღებდა. ქართველი პატრიოტი კი მას შესძახებს: რასაც აკეთებ, ჩქარა გააკეთე!

ჩვენ ღრმით გვწამს, რომ გაბაშვილის სენი—უკუთრებელი —მისი საკუთარი, პიროვნულია. მისგან დაზღვეულია ეროვნული ემიგრაცია და მისი სალი ფენები. ამის საილიუსტრაციოთ ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენი ნიუ-ორკელი თანამოძმე «ქართული აზრი» თავის ფურცლებზე დამოუკიდებლობის ხანის მოვლენათა მიუდგომელ ანალიზს და შეფასებას იძლევა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვგულისხმობთ ამაწლის მაისის ნომერში მოთავსებულ მეთაურს, რომლის ავტორია დ. შალიკაშვილი.

მოგვყავს აღნიშნული წერილიდან ნაწყვეტები.  
«მართალია ხანმოკლე აღმოჩნდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ის დავკარგეთ არა შინაგან ძალთა შეუთანხმებლობით და შინაგანი კრიზისის, ან სახელმწიფო მშენებლობის უცოდინარობით, არამედ ის წარგეტაცა გარეშე, უცხო ძალამ, რაც შეუძლებელია ჩაითვალოს ქართველი ერის ნაკლად და მის მოუმხადებლობად...»

საბჭოთა საპყრობილეს დამხობისთანავე კვლავ გაიხსნება საქართველოსათვის ბედნიერი მომავალის გზა.

დამოუკიდებლობის ეპოქა, უპირველეს ყოვლისა, ჩაითვლება ჩვენი ერის ეროვნულ პოლიტიკური სიმწიფის ატესტატად. მაგრამ იგი ამის გარეშეც დიდ ღირებულებას შეიცავს. ეს იყო მიუცილებელი ბიძგი, რათა ეროვნული იდეა გამარჯვების ბრწყინვალე შერავანდელით შემოსილიყო.

ყოველი ერის ისტორიაში არსებობს ეპოქათა შორის გარდამავალი, ეპოქათა გადამბმელი ხანა, რომელიც ერის ცხოვრებაში ავსაცა სტოვებს და კარგსაც. 1918-21 წ. ეპოქამ მხოლოდ სასურველი და სანეტარო მოგონება დასტოვა იმ შემხადებულნი ნიადაგით, რომელიც მომავალ თაობებს უადვილებს სამშობლოს მარადიული თავისუფლებისთვის ბრძოლას.

1918-21 წ. ეპოქა წარმოადგენს ქართული ისტორიის ბრწყინვალე და მიმზიდველ დასრულებულ თავს. მას შემდეგ წარმოებულ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში დაცემულ მამულიშვილთა ადგილს იჭერს ახალი ძალა, ძალა აღმოცენებული 26 მაისის იდეაზე და დავაჟკაცებული მალალ პატრიოტულ განცდებში.»

მკითხველი დარწმუნდება, რომ კომენტარიები ზედმეტია. ვისაც ქართული გული შერჩენია და ყური სმენათ აქვს, დეე, ისმინოს!

## 26 მაისი უცხოეთში.

პ ა რ ი ზ ი.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ 26 მაისის აღსანიშნავათ საზეიმო დღესასწაული მოაწყო. 16 უბნის თვითმართველობის შენობის დარბაზში. დარბაზის ესტრადან აშორებული ქართული სახელმწიფო ღერბი თეთრი გიორგი შემკული იყო ცოცხალი ყვავილებით და ქართულ-ფრანგულ დროშებით.

საზეიმო სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ექიოსებ ცინცაძემ, ქართულ ენაზე თანამემამულეებს მიულოცა ეს დიადი დღე, და უსურვა მათ მალე თავისუფალ სამშობლოში დაბრუნება. ფრანგულ ენაზე თავმჯდომარემ მრავალრიცხოვან დამსწრე ფრანგებს მადლობა გადაუხადა მათი ტრადიციული სტუმართმოყვარეობისათვის და უსურვა ფრანგ ერს წარმატება და მუდამ ბედნიერათ წინ სვლა.

ქართულმა გუნდმა შეასრულა რა ეროვნული ჰიმნი, დაიწყო არტისტული პროგრამა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა გამგეობის წევრი როსტომ წერეთელი, რომლის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ქ-ნ ელ. წერეთელის ასულმა, ხომერციკის ასულმა, ბ-ნ კობახიძემ და ბ-ნ პაპუაშვილმა შესანიშნავათ შეასრულეს მრავალი ქართული ცეკვები. ქ-ნ რუხაძის ასულმა დიდი წარმატებით შეასრულა პიანინოზე მის მიერ დაწერილი ქართული მელოდები. პოეტ ყიფიანმა დიდი ტემპერამენტი წარმოსთქვა თავისი ლექსი თბილისზე. დამსწრე საზოგადოებამ აღფრთოვანებული ტაშით დააჯილდოვა ყველანი.

შემდეგ გაიმართა ქართული სუფრა, რომელმაც დილამდის გასტანა.

ნ. ქოქიანიას საღვლაჯზე.

36 მაისს სათვისტომოს გამგეობის მოწვევით საღამოს 8 საათზე ვანვის სასაფლაოზე პარიზის მრავალმა ქართველმა ჩვენი რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტის ნაფორიანიას საფლავი შეამკო ვარდ-ყვავილებით. თავი მოიხარა დიდი სამაყო ქართველის ხსოვნის წინაშე, რომელიც გახდა ემბლემა თავისუფალი საქართველოსა. გუნდმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი «დიდება».

მ ი ე ნ ს ე ნ ი.

ჩვენმა წარმომადგენელმა გერმანიის რადიოს საშუალებით გადასცა თავისუფალ ქვეყნებისათვის 26 მაისის მნიშვნელობის შესახებ, მუსიკით და სიმღერით (სულიკო).

გაზეთ «სუდ დოიჩე ცაიტუნგ»-ში მანვე მოათავსა მიმართვა, სადაც აღწერილია საქართველოს წარსული ბრძოლები და მიმდინარე მისწრაფებანი თავისუფლების და საკუთარ სახელმწიფოს აღსადგენათ.

ს ო მ ე.

დილის 10 საათზე საზეიმო მორთულ დარბაზში თავი მოიყარა ადგილობრივ მცხოვრებ ქართველობამ. კრება გახსნა ბ-ნ ალ. შათირიშვილმა, თავის სადღესასწაულო სიტყვაში მოიგონა უკანასკნელათგარდაცვლილი ჩვენი მეთაურები, რომელთა ხსოვნას დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი სცეს<sup>1)</sup>. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე: ბ. ს. ჭირაქაძემ, ილ. სალუქვაძემ და მ. ჟღენტმა. სწდომის შემდეგ გაიმართა ნადიმი. სუფრას ამშვენებდა ჩვენი უნუტესი წევრი იასონ შავდია. დღესასწაული ჩატარდა საერთო კმაყოფილებით. დიდი მადლობის ღირსია ჩვენი დაუღალავი მოდარე გრ. ქვარცხავა.

ბ-ლი.

24 წლის აჯანყების 35 წლის თავი.

ამაწისლის 6 სექტემბერს, საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობამ, აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნის აღნიშვნა მოაწყო ლევილში.

«შატოს» დარბაზში გადახდილი იქნა პანაშვიდი. ამის შემდეგ საზოგადოება წავიდა ძმათა სასაფლაოზე. აქ ძვირფას ვლასა მგელაძის და სხვა მამულიშვილთა საფლავზე, — რომლებმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში, — გადახდილი იქნა პანაშვიდი.

«შატოს» მინდორზე გაიშალა სუფრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლ. ფაღავა. წაკითხულ იქნა სათვისტომოს თავმჯდომარის ი. ცინცაძის სიტყვა. რომელიც ვერ დაესწრო ამ დღეს ავადმყოფობის გამო.

წარმოითქვა მხურვალე სიტყვები; ორატორებმა მოიგონეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის დაღუპული მებრძოლნი.

გ რ ა მ ი ტ ო ნ ზ ე ლ ი ძ ე .

ამაწის 10 ივნისს ჩანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პარიზში გარდაიცვალა სამშობლოს და ჩვენი პარტიის ერთგული, ჩუმი და უანგარო მუშაკი, რწმენის ადამიანი — რომლის მთელი გონება და ფიქრი შებოჰვილი იყო დაკარგული თავის სულელების აღდგენის სურვილით.

მისმა დაკარგვამ უდიდესი მწუხარება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში, და მრავლათაც დაესწრო მის დასაფლავებას 13 ივნისს — ლევილის ძმათა სასაფლაოზე. გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა სათვისტომოს თავმჯდომარემ იოსებ ცინცაძემ. ხოლო სოც.-დემ. ორაგ — ის სახელით ანზ. გრ. წერეთელმა, რომლის სიტყვას აქვე ვათავსებთ:

ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო გრამიტონ!

პარიზის პარტიული ორგანიზაციის სახელით, უკანასკნელათ გესალმებით. ყველა შენი პოლიტიკური თანამებრძოლნი, ღრმა მწუხარების გრძობით, გულწრფელი გულისტკივი-

<sup>1)</sup> ა. შათირიშვილის სიტყვა დაიბეჭდება შემდეგ. რე დ.

ლით გემშვიდობებით. აქ, ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ, ჩვენი ერის ცნობილი ისტორიული პირები, რომლებიც შენი პოლიტიკური მასწავლებლები იყვნენ. აქვე, იმყოფებიან მრავალი შენი პირადი მეგობრები, მეზობლები, და მათ შორის შენთვის ყველაზე ძვირფასი ვალ. ინწყირველი, რომელიც ასე უდრთვით დავკარგეთ. გვსურს დავიჯეროთ, ამ მრავალ მეგობართა სიახლოვე, მსუბუქათ აგატანიებს ცივ სამარეს, უცხო მიწას. შენ დიდი ხანია გრძნობდი შენი ორგანიზმის საბედისწერო მდგომარეობას. უხშოთ, ვაქცაქურათ იტანდი ავადმყოფობას. მაგრამ ეს ტრადიკული დუმილი აიხსნება შენი ბუნების სინაზით, ცხოვრების ღრმა ცოდნით. კარგათ იცოდი რომ ყველა ემიგრანტს საკუთარი უბედურება თანა სდევს, არ გსურდა არავის შეწუხება, ხმამალა ბედის წყევლა.

როგორც ყველა დევნილი, შენც სამუდამოთ მოშორდი შენი ძვირფასი ოჯახის წევრებს, ეს წყევული ხვედრი, წამების ჯვრათ ავიკიდა შენ არსებობას. აღარც სამშობლო. აღარც ოჯახი. შენ იყავი არა მარტო იშვიათი მაგალითის მიმცემი, არამედ სიმბოლო. ჭირში და ლხინში დიდი ერთგულებით ატარებდი შენი პირადი მეგობრების სიყვარულს და პატივისცემას.

მთელი საუკუნეების მანძილზე საქართველო მონობის უღელს ებრძვის. მეოცე საუკუნის ჩვენი თაობა, ამ უთანასწორო ბრძოლას არ გაქცევია. ჩვენთან ერთად შენ მოვალეობათ დანისახე უპირობოთ თავგანწირვა. არასოდეს გიძებნია თავის გამოჩენა, ან უადგილო პატივმოყვარეობა. არ ვახსენებთ იდეოლოგიური მერყეობა. კარგათ იცოდი რომ სიმართლე და ჭეშმარიტება—მებრძოლ საქართველოს მხარეზე იყო. ხშირათ ემიგრანტებს მწარე სიტყვებით დაციინიან. მაგრამ ცნობილია, რომ დევნილობას იწვევს ისტორიისგან განწირული რეჟიმი. ვერც ჩვენი უფროსი თაობა, ვერც ჩვენ, შეიძლება გამარჯვებას ვერ მოვესწროთ—მაგრამ უკვდავია იდეალი—რომელსაც შეეწირენ ათასეული გმირები ცნობილი თუ უბრალო ჯარისკაცნი.

მტერმა საქართველო სისხლისგან დაცალა. მაგრამ მსხვერპლმა ეროვნული მეობისთვის გაღებულმა, ჩვენი ქვეყნის კულტურული სიმწიფე და უფლებრივი სამართლიანობა, უდავოთ მაღალ საფეხურზე აიყვანა. ყველა დაკვირვებული და ღრმა მოაზროვნე ხედავს და გრძნობს, რომ შავი ზღვის და კავკასიის მთებს შორის, არსებობს უკვდავი მომავლის მქონე ქართველი ხალხი.

როგორი გარეგნული ძლევამოსილების მატარებელი არ უნდა სჩანდეს ჩვენი დამპყრობელი. ერთა განთავისუფლების აუცილებლობას ვერ გაეჭკვევიან, მათ მიერ დაღვრილი უმანკო სისხლი: ფინელების, უნგრელების, პოლონელების, ქართველების და სხვა მრავალი ერების, მათ ისტორიულ მარაგზე მოეწევათ და პასუხს მოსთხოვთ.



ამ გარდაუვალი ისტორიული განაჩენის აუცილებლობა შენ გრწამდა ძვირფასო ამხანაგო. ამიტომ მსუბუქათ ავტონოს უცხოეთის მიწა.

ჩვენ, შენი თანამებრძოლნი ვისურვებდით, რომ გამარჯვებულს, ძლიერს—ღირსეულ მომავალ საქართველოს, თბილი, მშობლიური კალთა გადაეფარებინოს უცხოეთში დაღუპულ ქართველობისათვის. ვინ იცის იქნებ მადლიერმა მომავალმა თაობებმა სასწაული მოახდინონ და ჩვენი ნეშტები მზიან საქართველოს მიწას მიაბარონ.

ამ რწმენით გემშვიდობებით. საუკუნო იყოს ხსენება შენი.

ევგენი გეგეჟკორის ხსოვნისთვის.

5 ივნისს, ს. ლევილში ევგ. გეგეჟკორის გარდაცვალების ხუთი წლის თავის აღსანიშნავათ, მის საფავეზე თავი მოიყარა მრავალმა ქართველობამ. დამწუხრებულნი ჰირისუფალნი და დამწრენი დიდხანს იდხნენ საფლავის წინაშე.

ჯარლდ ჩხეიძის საფლავზე.

31 ივნისს დილით კარლო ჩხეიძის სასაფლაოზე თავი მოიყარა ქართველ საზოგადოებამ. სათვისტომოს თავმჯდომარემ იოს. ცინცაძემ მოუწოდა დამწრეთ: წელს უსიტყვოთ და ჩიჩუმით პატივი ეცათ დიდი ქართველის ხსოვნისათვის.

პარტიული ცხოვრება.

საქ. ს.-დ. მ. პარ. პარზის ორგ-ის რეზალიუცია.

ამა წლის 27 სექტემბრის საქ. ს.-დემ. მ. პარტიის პარზის ორგანიზაციის საერთო კრება, გაეცნო რა ბ-ნ რ. გაბაშვილის მოგონებებს «რაც მახსოვს»,—ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს, რომ მეოცე საუკუნეში ქართველი ხალხის ნაწარმოებ ეროვნულ ბრძოლებს ავტორი აღწერს წინასწარ საეჭვო განზრახვებით, ვულგარული ტონით, დამამცირებელი მსჯელობით და ცინიკური მიდგომით, რომლის მგზავსი სიმდაბლე ჩვენს მტრებსაც არ უკადრებიათ მებრძოლი საქართველოსათვის.

ერის მიერ მიღებული და აღიარებული საქართველოს დამოუკიდებლობა,—გამოაცხადა იძულებით,—«თავზე მოხვეულ აქტათ», და მით უარყო ქართველი ერის ისტორიული პრძოლები,—დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

ბ. გაბაშვილმა შეურაცყო მოჭორილ-მოგონილ ამბებით საქართველოს თავისუფლების ემბლემა—ჩვენი პრეზიდენტი, გამოჩენილი და თავდადებული პოლიტიკური მოღვაწენი განურჩევლად მიმართულებისა.

დამოუკიდებელ საქართველომ თავისი შეუდრეკელი ბრძოლის ნებისყოფით და დიდი სოციალური და პოლიტიკური რეფორმების გატარებით მთელი კულტურული კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ბ-ნი გაბაშვილი კი ვერ პოუ-

ლობს ვერც ერთ დადებით მხარეს ჩვენი ერის აღმშენებლობითი მუშაობის... ამით ის საბუთს აძლევს მტერს ამტკიცოვს, რომ ქართველი ხალხი მოკლებულია სახელმწიფოებრივ მართველობის უნარს.

თავის პასვილების წიგნის დასკვნაში ბ-ნი გაბაშვილი საოკუპაციო ხელისუფლების დასაყრდნობ ძალას აცხადებს «გამოწადულათ ბრძოლაში და სახელმწიფოებრივ მართველობაში», მოუწოდებს ქართულ ემიგრაციას დაეხმაროს და ხელი გაუწოდოს მას. ამითი ის ემიჯნება ერს და უარყოფს მის მიერ წარმოებულ განმათავისუფლებელ ბრძოლებს.

ორგანიზაცია სავსებით უერთდება პარტიის სახლვარგართელ ბიუროს დადგენილებას და მასთან ერთად აღიარებს:

ორგანიზაციის წევრები სწყვეტენ ყოველგვარ კავშის ბ-რ. გაბაშვილთან.

ხოლო ორგანიზაცია არ შევა არავითარ საქმიან ურთიერთობაში იმ წრებთან და ორგანიზაციებთან, სადაც ბ-ნ რ. გაბაშვილს ექნება ადგილი.

### გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა.

ძვ. რედაქტორო!

გთხოვთ ჩემი განცხადება მოათავსოთ «ჩვენი დროში»-ს მომავალ ნომერში.

ცილის წამების სპეციალისტი ცნობილი «მოღვაწე» გაბაშვილი რეცივისტობს. მას გამოუტყია სქელი წიგნი რომელმაც საერთო აღმფოთება გამოიწვია ჩვენს ამხანაგებში, სხვა პარტიებში და ქართულ საზოგადოებაში, და რომელიც ავტორის შესაფერ თვალმარგალითებით—სავსეა.

აქ მის მიერ ტალახში ისვრება საქართველოს ბევრი გამოჩენილი მოღვაწეები აწ განსვენებულნი დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრები, პირველყოვლისა მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს პრეზიდენტი ნოე ჟორდანი.

ზოგს ქურდებათ აცხადებს, ზოგს კი ყაჩაღებათ ნათლავს. ეს ამბავი მე არ გამკვირვებია, ვინაიდან «კოკასა შიგარაცა სდგას იგივე წარმოადინდების». გაბაშვილს ალბად «პატრიოტობით» მოსდის ასეთი ბინძური ხელობის პრაქტიკა. ეს ხელობა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება მეტი სახელი გაუტყხოს მისი ერის მოღვაწეთ, რომელნიც მას ეძაგება და ამგვარად დაუმტკიცოს ყველას შინაურ თუ გარეშეს. რომ ქართველი ერი არ არის ღირსი დამოუკიდებელი არსებობა ატაროს, ვინაიდან ის,—ასეთ უღირს მართველებს იჩივებს. ორში ერთი:

1. ეს საცოდავი ადამიანი, — რომელიც თავის სილანჩრეს არ გრძნობს, არის სულით ავადმყოფი (ეგებ Demence Gehilt-ით შეპყრობილი). მაშ უპასუხისმგებლო და ამ შემთხვევაში მას სპირდება ექიმობა პსიქიატრულ საავადმყოფოში (სადაც ან

მორჩება ანდა არა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის იქნება ჩაკეტილი, როგორც ამას კანონი მოითხოვს).

2. ანდა წინააღმდეგ შემთხვევაში, შეგნებულად ასეთ სიბინძურის ჩამდენი უნდა გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად, მის მოალაღატეთ, ვინაიდან საქართველოს მოსიხსლე მტრებიც კი რუსის ბოლშევიკები და მათი «ქართველი ლაქიებიც»—აქამდის არ მისულან ჯერ, რადგან მათ კარგად იციან—რომ, მათ არაფერს დაუჯერებს არც აქეთ, არც იქ. მაგრამ ამ ვაჟბატონმა კარგად იცის, რომ მისი ასეთი კრიმინალური «მოღვაწეობით» ერის ყველა ჯურის მტრები ისარგებლებენ და გაიხარებენ...

სხვათა შორის ისიც საკითხავია, თუ რა საშვალებით ახერხებს ეს უტიფარი ადამიანი ასეთი სქელი შავრახმული წიგნების დაბეჭდვას, როცა ყველას უძნელდება თვეში ერთი გახეთის გამოცემაც კი.

მე მოვიტოვებ დაეხმოს მას ქართული ორგანიზაციების ყველა კარები, მათ შორის, საფრანგეთში მყოფ ქართველ ასოციაციის და მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის. ყოველ შემთხვევაში პირადათ მე არ დაეჯდები იქ, სადაც ამ მანიაკს ექნება სკამი. და ორივე ხსენებულ ორგანიზაციიდან გამოვალ.

ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს. ნახევარ საუკუნეზე მეტია თვალყურს ვადევნებ, რამდენადაც შესაძლებელია სხვა და სხვა ქვეყნების ცხოვრებას და პოლიტიკას, ასეთი უმსგავსოების მნახველი და გამგონი მე არ ვარ.

ექიმო ანტონ ქორქელიანი.

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

ამით ვაცხადებ, რომ ბ. რ. გაბაშვილის «წიგნში» ჩემს შესახებ მოთხრობილი ამბავი, თითქოს მე მისთვის ვისიმე შეურაცმყოფელი რამ მეთქვას, ბ. რ. გაბაშვილის ფანტაზიის ნაცოფს წარმოადგენს.

ნიკელ იმნაიშვილი.

### მადლობის გამოცხადება.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებმაც თანაგრძნობა გამომიცხადეს ჩემი საყვარელი მეუღლის სანდრო კორძაიას გარდაცვალების გამო.

მარგა კორძაია.

### «ჩვენი დრო»-ს ცენტრი.

ჩემი ძვირფასი მეუღლის—დათიკოს გარდაცვალების ორი წლის თავზე მისი ხსოვნის აღსანიშნავათ ვწირავ «ჩვენი დრო»-ს ფონტს 10.000 ფრანკს.

შედიო ხელამისა.

ამას გარდა მივიღეთ: მიუნხენიდან 21.000 ფრ.; პარიზის ორგანიზაციისაგან 11.000 ფრ.; სოლოდან 7.000 ფრ.; ილ. გოლდმანისაგან 5 დოლ.; ერ. რამიშვილისაგან 2 დოლ.; სიმ. კეკელიძისაგან 3.500 ფრ., ქ-ნ ქ. ვაჩნაძისაგან 1.000 ფრანკი.

სულ 53.500 ფრანკი და 7 დოლარი.